დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია

წევრები:

ნინო ელბაქიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242576636

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ცაგერის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ცაგერი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ცაგერი, **დავით აღმაშენებლის ქუჩა 72**
საფოსტო ინდექსი	**5100**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://gimnazia.edupage.org/**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tsageri.gimnazia@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის** 2026 წლის 06 მაისის N-8 26 0000536191 და 2026 წლის 04 ივნისის 0 26 0000670482 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10 და 11 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ცაგერი, დავით აღმაშენებლის ქუჩა 72 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ცაგერი, დავით აღმაშენებლის ქუჩა 72 1 შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ცაგერი, დავით აღმაშენებლის ქუჩა 72 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 10 და 11 ივნისს. ვიზიტის მიზანი იყო ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის დროს ადგილზე იმყოფებოდნენ ზოგადი განათლების

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები, ხოლო საგნობრივი მიმართულების ექსპერტებმა სკოლის შეფასება განახორციელეს დისტანციურად.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ინფრასტრუქტურის დათვალიერება, შეფასდა სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, განხორციელდა მიმდინარე პროცესების ანალიზი. კერძოდ, შეფასდა სკოლის ფილოსოფია, დაგეგმვისა და განვითარების მიმართულებები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემები და სამივე საფეხურზე კურიკულუმების შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის მექანიზმები. ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია მოწოდებულ იქნა დროულად და სრულყოფილად. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, კეთილგანწყობილ და ორგანიზებულ გარემოში შეუფერხებლად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
120	73	120

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---120---	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, უზრუნველყოს* ➢ *კვალიფიციური ექიმის ან ექთნის დასაქმება 2026 წლის 24 ივლისამდე;* ➢ *საგნებისთვის: დაწყებით საფეხურზე (I-IV) კლასების-1, სახელმწიფო ენა-1, კომპიუტერული ტექნოლოგიების, საბაზო საფეხურზე - მოქალაქეობა და მათემატიკის, ხოლო სამივე საფეხურზე სპორტის სწავლებისთვის კვალიფიციური კადრების დასაქმება არაუგვიანეს 2026 წლის 4 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, 2026 წლის 24 ივლისამდე, უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის ან ექთნის დასაქმება.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 4 სექტემბრისა, დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოს: დაწყებითი (I-IV) კლასების-1, სახელმწიფო ენა-1, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და სპორტის სწავლებისთვის კვალიფიციური კადრების დასაქმება.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, 2026 წლის 24 ივლისამდე, საბაზო საფეხურზე უზრუნველყოს: მოქალაქეობა, სპორტი და მათემატიკის სწავლებისთვის კვალიფიციური კადრების დასაქმება.*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 4 სექტემბრისა, საშუალო საფეხურზე უზრუნველყოს სპორტის სწავლებისთვის კვალიფიციური კადრის დასაქმება.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.1.1.4.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სასურველია, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აისახოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების ეტაპები. კერძოდ, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, ასევე პროცესის ეტაპები: არსებული მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება, დაინტერესებული მხარეების მიერ განხილვა და უკუკავშირის მიღება, დოკუმენტის საბოლოო რედაქტირება და სხვა.*

ინდიკატორი N.1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სასურველია, სკოლამ, მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტოს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.*
ინდიკატორი N.1.2.2.1	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს*	*სასურველია, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის განხორციელების პერიოდი/ვადები.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" №1.2 "სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის" შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის, სასურველია, დაწესებულებამ ისევ სცადოს კვალიფიციური ექიმის დასაქმებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	
ინდიკატორი N.2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, სავალდებულო თემის სახელწოდებები შესაბამისად აისახოს. მაგ. მე-5 კლასის კურიკულუმში თემა "გარემოსთან შეგუება" შეიცვალოს თემა - "ეკოსისტემებით", მე-6 კლასში საკითხები გაერთიანდეს სამ სავალდებულო თემად და დაიგეგმოს თემების თანმიმდევრული სწავლება.*
ინდიკატორი N.2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***უცხოური ენები*** *- სასურველია, კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებულ დავალებებს, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების სასწავლო პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად გადატანას.* ***სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, საკითხების ფორმულირებისას მასწავლებელი ორიენტირდეს საბოლოო დავალების შესასრულებლად შესასწავლი საკითხებიდან მთავარზე. ტექსტი არის რესურსი და არა საკითხი.* ***მათემატიკა*** *- სასურველია, მათემატიკის კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს სამიზნე ცნებებზე (მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა) დაფუძნებულ შემოქმედებით დავალებებს, რაც ხელს შეუწყობს თეორიული მათემატიკური ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში რეალიზებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების სასწავლო პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად გადატანას.* ***დაწყებითი საფეხური I-IV*** *- სასურველია ქართულ ენასა და ლიტერატურაში III კლასის კურიკულუმში, გრძელვადიანი მიზნები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით, იმ თემებსა და ტექსტების შესწავლისას სადაც შემოქმედებითი პროდუქტი არ იქმნება.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- IV კლასის კურიკულუმში სასურველია, პირველ თემაში მოცემული შემოქმედებითი დავალების პირობა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, რათა მოსწავლისთვის ნათელი იყოს, რა ტიპის სამუშაოს შესრულება მოეთხოვება. ასევე, მეორე თემაში, თუ შემოქმედებითი დავალება*

		მოიცავს მოზაიკის ტექნიკით ნატურმორტის ან ანიმალისტური ჟანრის ნამუშევრის შექმნას, სასურველია, აღნიშნული კომპონენტები აისახოს შესაბამის სამიზნე ცნებასა და ქვეცნებებში. მიზანშეწონილია, ყველა თემის ფარგლებში მიეთითოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. *V–VI კლასების კურიკულუმებში სასურველია, თემების ფარგლებში მიეთითოს მხოლოდ ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ მუშავდება შესაბამისი თემის ფარგლებში, ხოლო დარჩეს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც უშუალოდ მიემართება თემის შინაარსს, მსგავსად მეოთხე კლასის კურიკულუმის. ასევე, მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალებები, მიეთითოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, ხოლო კონტექსტ-მაგალითები წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითების და არა აქტივობების ფორმით. სასურველია, სამიზნე ცნება და ქვეცნებები სწორად იყოს წარმოდგენილი. კერძოდ, ფორმულირება „ეპოქა/კულტურა და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა სწავლა-სწავლების მიზნების გათვალისწინებით“ ქვეცნებას არ წარმოადგენს.* *VI კლასის კურიკულუმში სასურველია, კურიკულუმი შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან, ხოლო სხვა გამომცემლობის სახელმძღვანელო, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს დამატებით სასწავლო რესურსად.*
ინდიკატორი N.2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები უფრო მრავალფეროვანი იყოს, მათ შორის მატერიალური ფორმის პოსტერები, თვალსაჩინოება, მოდელები, მანიპულატივები და სხვა.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია დამატებთი რესურსების გამრავალფეროვნება.* **ესთეტიკური აღზრდა** *- სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის თითოეულ თემაში უფრო სრულად იყოს წარმოდგენილი ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.* *ასევე, მიზანშეწონილია, მუსიკის კურიკულუმებში რესურსები არა მხოლოდ ზოგადი ფორმით იყოს მითითებული, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულები.*

		სასურველია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობ ***დაწყებთი საფეხური I-IV*** *- სასურველია მათემატიკა მე-2 კლასი მიეთითოს ძირითადი რესურსი, კურიკულუმის თავფურცელში.*
ინდიკატორი N.2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, მუსიკის საგანში დიფერენცირებული სწავლების ამსახველ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქტივობები და შეფასების კომპონენტები უფრო მკაფიოდ იყოს დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან. ვინაიდან სიმღერის შესრულებისა და სმენის ტესტირების კომპონენტები დამოუკიდებელ სასწავლო შედეგებად არ არის განსაზღვრული მოქმედი საგნობრივი სტანდარტით, მიზანშეწონილია დიფერენცირების მაგალითები ძირითადად დაეფუძნოს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებსა და ინდიკატორებს.* ***სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, გარდა ინსტრუქციის გამარტივება-მოდიფიცირებისა, მასწავლებლები გაეცნონ დიფერენცირებული სწავლების სხვა მეთოდებსაც.*
ინდიკატორი N.2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, დაწყებითი საფეხურისთვის შეფასების ხარისხობრივი კრიტერიუმები შერჩეული იყოს ოპტიმალური კომბინაციით, მაგ: შეფასების სქემაში (მე-2 კლასი) წყვილებად წარმოდგენილი კრიტერიუმები (სხარტად და ზუსტად, დუნედ და ხარვეზებით, შეფერხებით და შეცდომებით), ასახავს ორ განსხვავებულ კოგნიტურ პროცესს - ტემპს და ხარისხს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლების ტემპი და განვითარების დინამიკა დაწყებით საფეხურზე (მით უფრო სწავლების მეორე წელს) ინდივიდუალურია, მაშინ სჯობს, მოვხსნათ დროის/ტემპის ფაქტორი, მივცეთ მას ბუნებრივი განვითარების საშუალება, ხარისხობრივი კი დავტოვოთ, შეგვიძლია, მაგალითად, ჩავრთოთ კრიტერიუმი - მასწავლებლის დახმარება, ან დამოუკიდებლობის ხარისხი. მაგ: ძირითადად მასწავლებლის დახმარებით , მასწავლებლის ეპიზოდური დახმარებით, დამოუკიდებლად შესრულება ან სხვა. განმავითარებელი შფასების დროს (მაგ მე-6 კლასი) მასწავლებლის კომენტარი სასურველია, აიგოს დაზუსტება/წახალისება/რჩევის პრინციპებით და იყოს კონკრეტული თემასთან და საკითხთან კავშირში.*

		საზოგადოებრივი მეცნიერებები *- სასურველია, შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ასახავდეს იმ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს, რომელთა მიღწევაც იგეგმება. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს მოსწავლის მიერ შუალედური მიზნების მიღწევის ხარისხსა და უზრუნველყოფდეს მისი პროგრესის ობიექტურ შეფასებას.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო დეტალურად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მკაფიოდ აღწერს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა* *და კომპეტენციების განვითარების დონეებს* **სახელმწიფო ენა** *- სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს შეფასების რუბრიკის საერთო ფორმა, დიზაინი. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის გასაგები ენით. ვურჩევთ სკოლას, უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი, ვებინარი, სამუშაო შეხვედრა.), რომელიც დაეხმარება კათედრას უფრო მეტად მოარგოს შეფასების სისტემა და რუბრიკები განახლებულ საგნობრივ სტანდარტს.*
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***მათემატიკა*** *- ხარისხის ასამაღლებლად, სასურველია მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებები კათედრის ფარგლებში, მჭიდრო თანამშრომლობით მიიღებოდეს.*
ინდიკატორი N.2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, მოსწავლეთა ურთიერთშეფასების/თვითშეფასების წახალისება და დანერგვა, რაც ავთენტურ შეფასებასთან მიგვიყვანს. კათედრამ შესაძლოა, შექმნას ასეთი კითხვარის სხვადასხვა ნიმუში.* ***საგაზო/საშუალო საფეხური:*** *სასურველია, ვერიფიკაციის შაბლონი (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია) უფრო ინფორმაციული იყოს, სტანდარტული ფრაზების გარდა, სჯობს, დაემატოს წინასწარ შერჩეული კრიტერიუმებიც , რაც შეფასებას შესძენს მეტ დეტალიზაციას, ასახავს საგანსპეციფიურ მიდგომებს.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, კათედრა უფრო აქტიურად ჩაერთოს შეფასების ვერიფიკაციის პროცესში და ეს პროცესი გახდეს სისტემატური და რეგულარული*

		ესთეტიკური აღზრდა *- სასურველია, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ერთვოდეს შესაბამისი აღწერა (მაგ., რა შემთხვევაში ენიჭება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს.* *სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს და მიეთითოს მიღებული შედეგების 10-ქულიან შეფასების სისტემაში გადაყვანის წესი, რათა შეფასების პროცესი იყოს გამჭვირვალე და მკაფიო როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.* *ასევე სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლო კრიტერიუმები ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად იყოს განსაზღვრული. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უკეთ გაგებას როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან და გააძლიერებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას.*
ინდიკატორი N.2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, სკოლაში არსებული მატერიალური ბაზა აისახოს კურიკულუმებში, შეიქმნას და გამდიდრდეს ციფრული რესურსების ბაზა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***უცხოური ენები*** *- სასურველია, კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებულ დავალებებს, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების სასწავლო პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად გადატანას.* ***სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, საკითხების ფორმულირებისას მასწავლებელი ორიენტირდეს საბოლოო დავალების შესასრულებლად შესასწავლი საკითხებიდან მთავარზე. ტექსტი არის რესურსი და არა საკითხი. მაგალითად, ი ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ არის რესურსი, ხოლო ზეპირი*

		მსჯელობა ირონიის ფუნქცია-დანიშნულებაზე ი. ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია ადამიანი?!“ საფუძველზე, შეიძლება იყოს საკითხი, რომელსაც სასწავლო პროცესის რომელიმე ეტაპზე დაამუშავებს მასწავლებელი. ***მათემატიკა*** *- სასურველია, მათემატიკის კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს სამიზნე ცნებებზე (მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა) დაფუძნებულ შემოქმედებით დავალებებზე. რაც ხელს შეუწყობს თეორიული მათემატიკური ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში რეალიზებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების სასწავლო პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად გადატანას.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- VII–IX კლასების კურიკულუმებში სასურველია, კონტექსტ-მაგალითები წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითების სახით და არა კითხვების ან აქტივობების ფორმით. ასევე, მიზანშეწონილია, ყველა თემის ფარგლებში მიეთითოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც გამოყენებული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია, თითოეული თემის ფარგლებში მიეთითოს მხოლოდ ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ მუშავდება. ასევე, სასურველია, შემოქმედებითი დავალებები დაკონკრეტდეს და წარმოდგენილი იყოს ისეთი ფორმით, რომ მოსწავლისთვის ნათელი იყოს, რა ტიპის სამუშაოს შესრულება მოეთხოვება.*
ინდიკატორი N.2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია დამატებთი რესურსების გამრავალფეროვნება.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის თითოეულ თემაში უფრო სრულად იყოს წარმოდგენილი ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.* *ასევე, მიზანშეწონილია, მუსიკის კურიკულუმებში რესურსები არა მხოლოდ ზოგადი ფორმით იყოს მითითებული, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულები.*

		სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VII კლასის კურიკულუმის პირველ თემაში წარმოდგენილი ბმულები შინაარსობრივად არ შეესაბამება თემას და მიზანშეწონილია მათი გადატანა თემატურ ბლოკში „ადამიანი და ხელოვნება“. სასურველია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობ
ინდიკატორი N.2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, მუსიკის საგანში დიფერენცირებული სწავლების ამსახველ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქტივობები და შეფასების კომპონენტები უფრო მკაფიოდ იყოს დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან. ვინაიდან სიმღერის შესრულებისა და სმენის ტესტირების კომპონენტები დამოუკიდებელ სასწავლო შედეგებად არ არის განსაზღვრული მოქმედი საგნობრივი სტანდარტით, მიზანშეწონილია დიფერენცირების მაგალითები ძირითადად დაეფუძნოს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებსა და ინდიკატორებს.* ***სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, გარდა ინსტრუქციის გამარტივება-მოდიფიცირებისა, მასწავლებლები გაეცნონ დიფერენცირებული სწავლების სხვა მეთოდებსაც.*
ინდიკატორი N.2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ასახავდეს იმ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს, რომელთა მიღწევაც იგეგმება. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს მოსწავლის მიერ შუალედური მიზნების მიღწევის ხარისხსა და უზრუნველყოფდეს მისი პროგრესის ობიექტურ შეფასებას.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო დეტალურად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მკაფიოდ აღწერს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარების დონეებს.* **სახელმწიფო ენა** *- სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს შეფასების რუბრიკის საერთო ფორმა, დიზაინი. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის გასაგები ენით. ვურჩევთ სკოლას, უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი, ვებინარი, სამუშაო შეხვედრა...), რომელიც დაეხმარება კათედრას უფრო მეტად*

		მოარგოს შეფასების სისტემა და რუბრიკები განახლებულ საგნობრივ სტანდარტს.
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***მათემატიკა*** *- ხარისხის ასამაღლებლად, სასურველია მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებები კათედრის ფარგლებში, მჭიდრო თანამშრომლობით მიიღებოდეს.*
ინდიკატორი N.2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, მოსწავლეთა ურთიერთშეფასების/თვითშეფასების წახალისება და დანერგვა, რაც ავთენტურ შეფასებასთან მიგვიყვანს. კათედრამ შესძლოა, შექმნას ასეთი კითხვარის სხვადასხვა ნიმუში.* ***საბაზო/საშუალო საფეხური:*** *სასურველია, ვერიფიკაციის შაბლონი (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია) უფრო ინფორმაციული იყოს, სტანდარტული ფრაზების გარდა, სჯობს, დაამატოთ წინასწარ შერჩეული კრიტერიუმებიც , რაც შეფასებას შესძენს მეტ დეტალიზაციას, ასახავს საგანსპეციფიურ მიდგომებს.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, კათედრა უფრო აქტიურად ჩაერთოს შეფასების ვერიფიკაციის პროცესში და ეს პროცესი გახდეს სისტემატური და რეგულარული* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია,, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ერთვოდეს შესაბამისი აღწერა (მაგ., რა შემთხვევაში ენიჭება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს.* *სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს და მიეთითოს მიღებული შედეგების 10-ქულიან შეფასების სისტემაში გადაყვანის წესი, რათა შეფასების პროცესი იყოს გამჭვირვალე და მკაფიო როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.* *ასევე სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლო კრიტერიუმები ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად იყოს განსაზღვრული. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უკეთ გაგებას როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან და გააძლიერებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას.*

ინდიკატორი N.2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, სკოლაში არსებული მატერიალური ბაზა (მაგ. ლაბორატორიული რესურსები) აისახოს კურიკულუმებში, შეიქმნას და გამდიდრდეს ციფრული რესურსების ბაზა.*
ინდიკატორი N.2.2.2.3.	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილას მსხვილი შრიფტით გამოიკრას ლაბორატორიით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები. მიეთითოს, ხანძრის შემთხვევაში სად არის ცეცხლმაქრი, ცეცხლგამძლე ნაჭერი ან ქვიშის ყუთი. ყოველი წლის ბოლოს ჩატარდეს ინვენტარიზაცია, ლაბორატორიებში განთავსებულ თითოეულ კარადაზე მიეკარას რესურსების ჩამონათვალი, ქიმიური რეაქტივები შესაბამისი წესის დაცვით განთავსდეს კარადის დახურულ ნაწილში, რომელიც იკეტება და მოსწავლეს არ ექნება წვდომა. ბუნებრივი ვენტილაცია საკმარისი არ არის, გაიმართოს ხელოვნური ვენტილაცია - გამწოვი კარადა, შემოწმდეს ვენტილაცია პერიოდულად.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***უცხოური ენები*** *- სასურველია, კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებულ დავალებებს, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების სასწავლო პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად გადატანას.* ***სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება*** *- სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალო საფეხურის კურიკულუმში დაზუსტდეს კონტექსტი/მაგალითი და შესაბამისობაში მოვიდეს ვიზიტის დროს წარმოდგენილ პროექტის გეგმასთან. მიზანშეწონილია, კურიკულუმის ჩარჩოში უფრო მკაფიოდ აისახოს პროექტის იდეა, მათ შორის ის კვლევითი საქმიანობა და ისტორიული წყაროების გამოყენება/დამუშავება, რომლებიც რეალურად გათვალისწინებულია პროექტზე მუშაობის პროცესში.*

		პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ექსკურსია წარმოდგენილი იყოს როგორც სასწავლო აქტივობა და არა როგორც თემა. სასურველია ქვეცნებების დაკონკრეტება, რომელიც უშუალოდ მუშვდება პროექტის ფარგლებში. ***სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, საკითხების ფორმულირებისას მასწავლებელი ორიენტირდეს საბოლოო დავალების შესასრულებლად შესასწავლი საკითხებიდან მთავარზე. ტექსტი არის რესურსი და არა საკითხი.* ***მათემატიკა*** *- სასურველია, მათემატიკის კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს სამიზნე ცნებებზე (მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა) დაფუძნებულ შემოქმედებით დავალებებზე. რაც ხელს შეუწყობს თეორიული მათემატიკური ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში რეალიზებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების სასწავლო პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად გადატანას.*
ინდიკატორი N.2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია დამატებთი რესურსების გამრავალფეროვნება.*
ინდიკატორი N.2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, გარდა ინსტრუქციის გამარტივება-მოდიფიცირებისა, მასწავლებლები გაეცნონ დიფერენცირებული სწავლების სხვა მეთოდებსაც. მიზანშეწონილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სახელმწიფო ენის კათედრისთვის პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი, ვებინარი და სხვა) დიფერენცირებული სწავლების მეთოდების შესახებ უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციისა და გამოცდილების მისაღებად.*
ინდიკატორი N.2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ასახავდეს იმ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს, რომელთა მიღწევაც იგეგმება. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს მოსწავლის მიერ შუალედური მიზნების მიღწევის ხარისხსა და უზრუნველყოფდეს მისი პროგრესის ობიექტურ შეფასებას.*

		უცხოური ენები *- სასურველია, ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო დეტალურად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მკაფიოდ აღწერს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა* *და კომპეტენციების განვითარების დონეებს* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- საშუალო საფეხურზე მუსიკის საგანში პროექტული სწავლებისას გამოყენებული შეფასების მიდგომების ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად, სასურველია, შეფასების რუბრიკა ქულობრივი შეფასების ნაცვლად ჩამოყალიბდეს განმავითარებელი შეფასების პრინციპების შესაბამისად* **სახელმწიფო ენა** *- სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს შეფასების რუბრიკის საერთო ფორმა, დიზაინი. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის გასაგები ენით.*
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***მათემატიკა*** *- ხარისხის ასამაღლებლად, სასურველია მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებები კათედრის ფარგლებში, მჭიდრო თანამშრომლობით მიიღებოდეს.*
ინდიკატორი N.2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, მოსწავლეთა ურთიერთშეფასების/თვითშეფასების წახალისება და დანერგვა, რაც ავთენტურ შეფასებასთან მიგვიყვანს. კათედრამ შესძლოა, შექმნას ასეთი კითხვარის სხვადასხვა ნიმუში.* *სასურველია, ვერიფიკაციის შაბლონი (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია) უფრო ინფორმაციული იყოს, სტანდარტული ფრაზების გარდა, სჯობს, დაამატოთ წინასწარ შერჩეული კრიტერიუმებიც , რაც შეფასებას შესძენს მეტ დეტალიზაციას, ასახავს საგნის სპეციფიურ მიდგომებს.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, კათედრა უფრო აქტიურად ჩაერთოს შეფასების ვერიფიკაციის პროცესში და ეს პროცესი გახდეს სისტემატური და რეგულარული* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს და მიეთითოს მიღებული შედეგების 10-ქულიან შეფასების სისტემაში გადაყვანის წესი, რათა შეფასების პროცესი იყოს გამჭვირვალე და მკაფიო როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.*

		ასევე სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლო კრიტერიუმები ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად იყოს განსაზღვრული. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უკეთ გაგებას როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან და გააძლიერებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას.
ინდიკატორი N.2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, სკოლაში არსებული მატერიალური ბაზა (მაგ. ლაბორატორიული რესურსები) აისახოს კურიკულუმებში, შეიქმნას და გამდიდრდეს ციფრული რესურსების ბაზა.*
ინდიკატორი N.2.2.2.3.	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილას მსხვილი შრიფტით გამოიკრას ლაბორატორიით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები. მიეთითოს, ხანძრის შემთხვევაში სად არის ცეცხლმაქრი, ცეცხლგამძლე ნაჭერი ან ქვიშის ყუთი. ყოველი წლის ბოლოს ჩატარდეს ინვენტარიზაცია, ლაბორატორიებში განთავსებულ თითოეულ კარადაზე მიეკვრას რესურსების ჩამონათვალი, ქიმიური რეაქტივები შესაბამისი წესის დაცვით განთავსდეს კარადის დახურულ ნაწილში, რომელიც იკეტება და მოსწავლეს არ ექნება წვდომა. ბუნებრივი ვენტილაცია საკმარისი არ არის, გაიმართოს ხელოვნური ვენტილაცია - გამწოვი კარადა, შემოწმდეს ვენტილაცია პერიოდულად.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ, 2026 წლის 20 ივლისის MES 0 26 0000953433 და 22 ივლისის MES 9 26 0000959580 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში. შედეგად, მესამე სტანდარტიდან ინდიკატორები: 3.1.2.4; 3.4.1.2 გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. ასევე, მეორე სტანდარტიდან, სამივე საფეხურზე, ინდიკატორი 2.2.2.4. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ცალკეულ ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინდიკატორები: 2.1.2.2.; 3.1.2.3. და 3.4.1.1. გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მისიაა მოსწავლეებს აზიარონ ქრისტიანული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. გიმნაზიის კურსდამთავრებულებმა მიღებული ცოდნა და აღზრდა გამოიყენონ წარმატებული ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ. სკოლის ხედვა აგრძელებს მისიით განსაზღვრულ მიმართულებებს და მიზნად ისახავს რომ იქნება ქრისტიანულ ღირებულებებზე მოსწავლეთა აღზრდასა და სწავლა-სწავლების ხარისხზე ორიენტირებულ გიმნაზია, სადაც ჩამოყალიბებული იქნება კარგად ორგანიზებული მწყობრი სისტემა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია თავისი მისიით მოსწავლეებს სთავაზობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილ უსაფრთხო პოზიტიურ გარემოს და ჯანსაღი სულიერი განვითარების შესაძლებლობებს. ხედვით კი, ჩამოყალიბებული კარგად ორგანიზებული მწყობრი სისტემა, რომელშიც ჰარმონიული ურთიერთობით დამკვიდრდება პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება, შესაბამისობა, ქრისტიანული კულტურა, თანამშრომლობა და მუდმივი გაუმჯობესება აუცილებელი პირობაა მოსწავლის პიროვნული განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნისთვის.

ინდიკატორი 1.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დაწესებულებამ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შეიმუშავა 2023 წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის ცვლილების შემდეგ. გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. შემუშავებული იქნა კითხვარები, გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება, მოხდა შედეგების გაანალიზება და მის საფუძველზე მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება.

ინდიკატორი 1.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დაწესებულებამ წარმოადგინა საგნობრივი კათედრების და პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები, რაც ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი გაზიარდა სასკოლო საზოგადოებასთან და მიღებული იქნა მხოლოდ დადებითი უკუკავშირი. დაწესებულების მიერ შემუშავებულ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველად ვერსიას ცვლილება არ განუცდია.

რჩევა: სასურველია, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აისახოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების ეტაპები. კერძოდ, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, ასევე პროცესის ეტაპები: არსებული მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება, დაინტერესებული მხარეების მიერ განხილვა და უკუკავშირის მიღება, დოკუმენტის საბოლოო რედაქტირება და სხვა.

ინდიკატორი 1.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია შენობის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას და ატვირთულია ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

დაწესებულების სახელწოდებაში ცვლილება განხორციელდა 2023 წელს და დაემატა ტერმინი „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება“. წარმოდგენილია ნოტარიუსის დასკვნა 02.12.2023. არასამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერში ცვლილება განხორციელდა 18.12.2023. აქედან გამომდინარე, სკოლის სახელწოდება „**ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია**” შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ბრძ. N16/1 23/08/2023;*
- *სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება n16/2 24/08/2023;*
- *საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმები N1 2023-2024;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი ოქმი N9 19.10.2023;*
- *ნოტარიუსის დასკვნა 02/12/2023;*
- *ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;*
- *ვებ-გვერდი:* https://gimnazia.edupage.org

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა გიმნაზიის დირექტორის N16/1 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 1.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული შვიდ წლიანი (2023-2030) სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს ცხრა მსხვილ მიზანს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და კორელაციაშია სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებთან.

ინდიკატორი 1.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი 2025-2026 სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან და ეფუძნება სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშს. მიმდინარე სასწავლო წელს იგი ფარავს 9 სტრატეგიული მიზნიდან 8 მიზანს. მეცხრე მიზანს -სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს და შეფასებას 2025 -2026 სასწავლო წელს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს.

ინდიკატორი 1.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. სკოლას მიეცა **რჩევა,** მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტოს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.

ინდიკატორი 1.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ბრძ. N16/1 23/08/2023;*
- *სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N16/2 24/08/2023;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი ოქმი N9 19.10.2023;*

- *სტრატეგიული გეგმა 2023 -2030;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026. ბრძ. N42/1 06/09/2025;*
- *სამოქმედო გეგმა 2024 -2025 ანგარიში.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების სისტემურ კონტროლს. მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი ხორციელდება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტიანია განხორციელებული სტრატეგია. წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არ არის მითითებული მონიტორინგის განხორციელების პერიოდი/ვადები. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა **რჩევა**: სასურველია, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის განხორციელების პერიოდი/ვადები.

ინდიკატორი 1.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

დაწესებულება ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას მის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ამ მიზნით, წარმომადგენლობითი პრინციპით იქმნება სამუშაო ჯგუფი. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების წევრებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ პროცესში.

ინდიკატორი 1.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი სკოლას ჯერ არ განუხორციელებია, ხოლო სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, რითაც უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა.

ინდიკატორი 1.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესში ხდება როგორც წარმატებით განხორციელებული აქტივობების, ასევე შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების იდენტიფიცირება. შეფასების შედეგები კი გამოიყენება შემდგომი დაგეგმვისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ბრძ. N16/1 23/08/2023;*
- *სტრატეგიული გეგმა 2023 -2030;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026. ბრძ. N42/1 06/09/2025;*
- *სამოქმედო გეგმა 2024 -2025 ანგარიში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიამ წარმოადგინა გიმნაზიის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტები. გიმნაზიის დებულებაში სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქცია-მოვალეობებია გაწერილი და იგი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N34/1 აქტით 2019 წლის 4 სექტემბერსაა დამტკიცებული. სტრუქტურის სქემა ვებ-გვერდზეა (https://gimnazia.edupage.org) გასაჯაროებული. სქემის სახით წარმოდგენილ გიმნაზიის სტრუქტურაში მკაფიოდაა განსაზღვრული გიმნაზიაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის მოქმედების არეალი. დებულებებში გაწერილია გიმნაზიის სტრუქტურულ ერთეულთა: მრჩეველთა საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის, ადმინისტრაციის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, კათედრის, მზრუნველთა საბჭოს და პირების: დირექტორის, დირექტორის მოადგილის სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილის აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილის სამეურნეო დარგში, ხარისხის მმართვის მენეჯერის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის და სხვათა ფუნქცია-მოვალეობები. გიმნაზიის დირექტორის მიერ 2023 წლის 26 ოქტომბერს ბრძანება N40-ით დამტკიცებულია გიმნაზიაში მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქციები. გიმნაზიამ, ასევე წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დირექტორის მიერ 2023 წლის 24 აგვისტოს ბრძანება N16/4-ითაა დამტკიცებული. გიმნაზიის შინაგანაწესის მე-2 თავის მე-4 მუხლში განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

გიმნაზიას სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნები და ამოცანები დელეგირებული აქვს სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებზე. ასევე, გიმნაზიას შექმნილი აქვს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც განაპირობებს ხარისხის კონტროლს. კერძოდ, ,,ხარისხის უზრუნველყოფის დებულება," რომელის დირექტორის 2023 წლის 20 ოქტომბრის N 31 ბრძანებითაა დამტკიცებული. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. გიმნაზიის თანამშრომლებთან ინტერვიურების პროცესში იკვეთება, რომ დაწესებულებაში დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ

საქმიანობას და მათ გავლენას გიმნაზიაში მიმდინარე პროცესებზე. გიმნაზიაში არსებული ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მონიტორინგი გაუწიოს მათ საქმიანობას და საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს პროცესების მართვა/კორექტირება. ვიზიტის დროს გადამოწმდა თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები მკაფიოდაა განსაზღვრული გიმნაზიასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და გიმნაზიის შინაგანაწესის მიხედვით. დირექტორის უფლება-მოვალეობები დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო - მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებულია ფუნქციები. პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. გიმნაზიას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი. დირექტორის მიერ 2026 წლის 11 ივნისის N 10 ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკატორთა ჯგუფი. სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებიდან, რომელიც გიმნაზიის ვებ-გვერდზე https://gimnazia.edupage.org გამოქვეყნდა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც მიუთითებს ორგანიზაციის ეფექტურ და მიზანმიმართულ განვითარებაზე. გიმნაზიამ განახორციელა რამდენიმე პროექტი, რომლებმაც ორგანიზაციის ზრდა და განვითარება გამოიწვია. გეგმის ფარგლებში დადგენილი ინდიკატორები სრულად შესაბამისი აღმოჩნდა მიღწეულ შედეგებთან. შედეგების შეფასებისა და ანგარიშგების პროცესმა აჩვენა გიმნაზიის მუშაობის სიზუსტე და გამჭვირვალობა, რომელმაც ხელი შეუწყო ორგანიზაციის განვითარებასა და სტრატეგიული გეგმების შემუშავებას. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ გიმნაზიაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები წარმატებით განხორციელდა. მიღწეული მიზნები, გაუმჯობესებული ეფექტურობა და ხარისხი, მიანიშნებს იმაზე, რომ ორგანიზაცია სწორ გზაზე დგას და მზადაა მომავალი გამოწვევების დასაძლევად. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გიმნაზიის შინაგანაწესი;*
- *გიმნაზიის სტრუქტურა;*
- *გიმნაზიის დებულება;*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*

- *გიმნაზიის პერსონალის მართვის პოლიტიკა;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;*
- *მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;*
- *წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება;*
- *უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება;*
- *მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება;*
- *სამეურნეო დარგში დირექტორის მოადგილის ხელშეკრულება;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*
- *ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება;*
- *მზრუნველთა საბჭოს დებულება;*
- *ვერიფიკატორთა ჯგუფის ბრძანება;*
- *გიმნაზიის ვებ-გვერდი:* https://gimnazia.edupage.org

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესები კანონმდებლობებთან შესაბამისობაშია. გიმნაზიაში დამტკიცებულია საშტატო განრიგი, საათობრივი ბადე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შინაგანაწესი. თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება გიმნაზიას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები. თანამშრომლები ეცნობიან გიმნაზიის შინაგანაწესს. ახალი კადრის აყვანა გიმნაზიაში ხდება საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. გიმნაზიამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N16(4) აქტით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც მუხლობრივად გაწერილია პერსონალის მოზიდვის მექანიზმები; პერსონალის შერჩევის პროცედურები; სამუშაო აღწერილობები; გიმნაზიაში ადაპტაცია; პერსონალის შეფასება; მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება; პერსონალის საგანმანათლებლო სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში

ჩართულობა. გიმნაზიაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

გიმნაზიას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც მორგებულია გიმნაზიის საჭიროებებზე. საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება ინტერვენციის განხორციელება. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მაგალითად, კლასის ხელმძღვანელის ფუნქციის დაკისრება, საგანგებო სიტუაციებში სკოლის მართვის გეგმის მიხედვით ფუნქციათა გადანაწილება და სხვ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

გიმნაზიაში თანამშრომლის მიღება, პერსონალის შერჩევა, კონკურსის გამოცხადების პროცედურები, კონკურსის მიზნები და ამოცანები, კონკურსის ჩატარების პროცედურები, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი და კონკურსის შედეგები გიმნაზიის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტშია გაწერილი. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს დირექტორი. გიმნაზიაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება გიმნაზიაში ყველასათვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: ის pedagogi.ge / teachersjobs.ge. საჯარო სივრცეში კონკურსის გამოცხადებისთანავე იქვე მითითებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი, რაც www. pedagogi.ge-ზე გადამოწმებითაც დასტურდება. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა. აპლიკანტს ეცნობება შედეგები და ეძლევა დრო გასაჩივრებისთვის. დირექტორის 2025 წლის 2 ოქტომბრის N50 ბრძანებით დამტკიცებულია ,,განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი," რომლის III თავი მთლიანად ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების სპეციალურ წესს ეხება. გიმნაზია მოტივირებულია პროფესიონალი კადრის შერჩევაზე. მასწავლებლის მიღების შემთხვევაში კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე, მეორე ეტაპზე, რაც მოიცავს გასაუბრებას და

საჭიროების შემთხვევაში, საჩვენებელი გაკვეთილის ჩატარებას, ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა. კომისიის წევრებს შემუშავებული აქვთ აპლიკანტის შეფასების სქემა, აფასებენ ინდივიდუალურად და შედეგების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას. პოზიციაზე შეირჩევა ქულათა ჯამით საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტი. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს დირექტორს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. გიმნაზიას კონკურსის წესით მიღებული ჰყავს თანამშრომლები, რაც დასტურდება ვებგვერდზე: www. pedagogi.ge - საჯარო სივრცეში გამოცხადებული კონკურსებით, ინტერვიუებით, ხელშეკრულებებითა და პირადი საქმეებით. გიმნაზიამ წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის N 40/1 ბრძანებით დამტკიცებული ღია კონკურსის ჩატარების წესი, საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის N 40/2 ბრძანება, საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის N 40/3 ბრძანება, საკონკურსო კომისიის ოქმები. ასევე, წარმოადგინეს კონკურსის ჩაშლის ოქმი. დასაქმებული პერსონალის პირად საქმეებში ინახება ცნობები ნასამართლეობის შესახებ. 2020 წლის შემდეგ გიმნაზიაში მიღებულ ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, უმეტეს მათგანს, გარდა 4 იდენტიფიცირებული მასწავლებლისა, წარმოდგენილი აქვს ცნობა - უფლების ჩამორთმევის შესახებ .

ხარვეზი: ცნობა - უფლების ჩამორთმევის შესახებ, არ ჰქონდა წარმოდგენილი 2020 წლის ივნისის შემდეგ მიღებულ, იდენტიფიცირებულ 4 მასწავლებელს.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, გაცემული 2020 წლის ივნისის შემდეგ მიღებული, იდენტიფიცირებული მასწავლებლებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რელევანტურად მიიჩნია წარმოდგენილი მტკიცებულებები და 3.4.1.1. ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **სრულ შესაბამისობაში.***

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი იქნა სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი - თანამდებობრივი ინსტრუქციები. გიმნაზიის დებულებაში გაწერილია დირექტორის, დირექტორის მოადგილის სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილის აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილის სამეურნეო დარგში, ხარისხის მმართვის მენეჯერის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის და გიმნაზიის სტრუქტურაში შემავალი სხვა თანამშრომლების

როგორც ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნები დირექტორის 2026 წლის 11 ივნისის N10 ბრძანებითაა დამტკიცებული, სადაც გაწერილია სასწავლო-აღმზრდებით დარგში დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, ხარისხის მართვის მენეჯერის, სამეურნეო ნაწილის გამგის, ფსიქოლოგის, საქმისმწარმოებლის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, ბიბლიოთეკარის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, დარაჯის, დამლაგებლის, ექთნის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. გიმნაზიაში სწორედ ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით ხდება ახალი კადრის შერჩევა და მიღება, რაც https://teacherjobs.ge/-ზე გამოცხადებული კონკურსებითაც დასტურდება. თუმცა, გიმნაზია მაღალმთიანი დასახლების სტატუსის რეგიონშია, ამიტომ ჭირს საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით კადრების შერჩევა. დაწესებულებაში დასაქმებულია ექთანი ფარმაცევტის კვალიფიკაციით.

ხარვეზი: ექთნის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ასევე, დაწესებულების 4 მასწავლებელს, რომლებთანაც გაფორმებულია უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება არ უდასტურდება მასწავლებლის კვალიფიკაცია.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, ვაკანსიის გამოცხადებას და შესაბამისი კვალიფიციური კადრების დასაქმებას, გეგმავს 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და 3.1.2.4. ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, 2026 წლის 24 ივლისამდე, უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის ან ექთნის, საგნებისთვის: დაწყებით საფეხურზე (I-IV) კლასების-1, სახელმწიფო ენა-1, კომპიუტერული ტექნოლოგიების, საბაზო საფეხურზე - მოქალაქეობა და მათემატიკის, ხოლო სამივე საფეხურზე სპორტის სწავლებისთვის კვალიფიციური კადრების დასაქმება.

4. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

გიმნაზიის ორგანიზაციული კულტურა გუნდურობის პრინციპს ეფუძნება, გუნდში ფუნქციები გადანაწილებულია შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო

გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. მაგალითად, სკოლაში ახალი კადრის შერჩევის გადაწყვეტილებას იღებს გუნდი (საკონკურსო კომისია), მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხს განიხილავს გუნდი (დისციპლინური კომისია) და ა. შ. მნიშვნელოვანია პედაგოგიურ საბჭოებსა და კათედრის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები. გიმნაზიაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, გადაწყვეტილებების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. თვალსაჩინოა, რომ გიმნაზია მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება და წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა. ვიზიტის დროს მოხდა მასწავლებლებთან გასაუბრება. ინტერვიუს დროს ყველა მათგანმა გიმნაზიის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სწორედ გუნდურობა დაასახელა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე და პედაგოგიურ საბჭოებზე. გიმნაზიაში ხშირად ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. რაც შეეხება აღიარებას, გიმნაზია სხვადასხვა აქტივობაში აქტიურად ჩართულ მასწავლებლებსა თუ პერსონალს დიპლომებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით აჯილდოებს, გიმნაზიის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში მიღწეული წარმატების თუ განხორციელებული პროექტის გამოქვეყნება ხდება. შინაგანაწესის 36-ე მუხლში წახალისების ფორმები, ხოლო 37-ე მუხლში წახალისების გამოყენების წესია განხილული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *საშტატო განრიგი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *გიმნაზიის დებულება;*

- *შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *პერსონალის მართვის პოლიტიკა;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;*
- *განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;*
- *ღია კონკურსის ჩატარების წესი;*
- *საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის N 40/2 ბრძანება;*
- *საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის N 40/3 ბრძანება;*
- *დამრიგებლის შეფასების ფურცელი;*
- *კათედრის მუშაობის მონიტორინგი;*
- *შემაჯამებელი დავალებების მონიტორინგი;*
- *საკონკურსო კომისიის ოქმები;*
- *წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება;*
- *უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება;*
- *მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება;*
- *გიმნაზიის ვებ-გვერდი:* https://gimnazia.edupage.org;
- *დარაჯის ხელშეკრულება;*
- *საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმად გიმნაზია იყენებს მასწავლებელთა რეფლექსიებსა და თვითშეფასებებს. გიმნაზიას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დირექტორის 2024 წლის 24 აგვისტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N16(4) აქტითაა დამტკიცებული და სადაც მუხლობრივად გაწერილია პერსონალის მოზიდვის მექანიზმები; პერსონალის შერჩევის პროცედურები; სამუშაო აღწერილობები; გიმნაზიაში ადაპტაცია; პერსონალის შეფასება; მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება; პერსონალის საგანმანათლებლო სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ჩართულობა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე კათედრის სხდომებზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება და ა. შ. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში. პერსონალი ვითარდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. გიმნაზიის დამხმარე პროცესების წლიურ გეგმაში გაწერილია .განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების წლიური გეგმა; მოსწავლის სერვისების განხორციელების წლიური გეგმა; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმისწარმოების წლიური გეგმა; კარიერული განვითარების წლიური გეგმა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

გიმნაზია ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილების და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. მასწავლებლები ყოველწლიურად გადიან ტრენინგებს და არჩევანის

გაკეთების დროს ითვალისწინებენ ჯგუფის რეკომენდაციას. გიმნაზიაში თანამშრომლობითი გარემოა. გიმნაზიაში 2 წამყვანი და დანარჩენი უფროსი და მოწვეული მასწავლებელია. გიმნაზია მასწავლებლებს საშუალებას აძლევს და ახალისებს კომფორტულ გარემოში ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

გიმნაზიის პერსონალის მართვის დოკუმენტში, რომელიც დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N16/4 ბრძანებითაა დამტკიცებული, მე-4 მუხლით განსაზღვრულია გიმნაზიაში თანამშრომლის ადაპტაცია, რის მიხედვითაც გიმნაზიაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ხელმძღვანელი და კოლეგები, რომლებიც პირს სამუშაო ადგილზე ხვდებიან. ისინი ვალდებული არიან მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ახალი თანამშრომლისთვის კომფორტული გარემოს შექმნას. ახალ თანამშრომელს დირექცია აცნობს შინაგანაწესს, გიმნაზიის ფილოსოფიას (მისიას, ხედვას, ღირებულებებს). პირველივე დღესვე დირექცია ახალ თანამშრომელს ათვალიერებინებს გიმნაზიის ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფს სკოლის თანამშრომლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრას. ექსპერტები ადგილზე ვიზიტის დროს თავადაც დავრწმუნდით, რომ ახალი პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, ლაბორატორიები, ექთნის კაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი. გიმნაზია უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. გიმნაზიაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

გიმნაზიის პერსონალის მართვის დოკუმენტში, რომელიც დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N16/4 ბრძანებითაა დამტკიცებული, მე-10 მუხლით განსაზღვრულია გიმნაზიაში თანამშრომელთა წახალისების ფორმები, რის მიხედვითაც გიმნაზია უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები; ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით, გარდა დღესასწაულებთან დაკავშირებით წახალისების ფორმის გამოყენებისა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პერსონალის განვითარებასთან

დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია გიმნაზიის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ თანამშრომლები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის მართვის დოკუმენტი;*
- *გიმნაზიის დამხმარე პროცესების წლიური გეგმა;*
- *შინაგანაწესი;*
- *მასწავლებლების პირადი საქმეები;*
- *ტრენინგების დამადასტურებელი სერტიფიკატები;*
- *სიგელები.*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

გიმნაზიის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. გიმნაზიის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის

ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ., რაც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც დირექტორის N 31 (20/10/2023) ბრძანებითაა დამტკიცებული. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა რომ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, ასევე, დასტურდება მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით, 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

გიმნაზია პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვ. გიმნაზიამ წარმოადგინა ხაზრისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, სადაც სრულადაა იდენტიფიცირებული და აღწერილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა„**

გიმნაზიაში ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, დირექტორის 2025 წლის 2 ოქტომბრის N50 ბრძანებით დამტკიცებულია ,,განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი," რომლის I თავი მიძღვნილი აქვს ზოგად დებულებებს, II თავი დისციპლინური წარმოებისას საჩივრის განხილვის წესს ეხება, მთლიანად ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების სპეციალურ წესს ეხება, III თავი მთლიანად ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების სპეციალურ წესს ეხება, IV თავში თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვაა, V თავში შიდა სასკოლო გამოცდის შედეგების გასაჩივრებაა, VI თავში დასკვნითი დებულებებია. გიმნაზიის 'შინაგანაწესის მე-13

თავის 49-ე მუხლში განცხადება/საჩივრის განხილვის წესია განხილული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე. გიმნაზიაში არის პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელებით და მათი ინტერესების დაცვით. გიმნაზიის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. უფლებები უფრო დაზუსტებულია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება გიმნაზიასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, გიმნაზიასა და პერსონალს შორის. დირექციასთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს გიმნაზიაში გასაჩივრების ფაქტი არ დაფიქსირებულა, რაც იმის დამადასტურებელიცაა, რომ გიმნაზიაში ნამდვილად დაცულია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი;*
- *შინაგანაწესი;*
- *განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;*
- *გიმნაზიასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

გიმნაზიას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები. ყოველი კვირის პარასკევს მშობლის დღეა და მას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის შესახებ; საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის ინფორმირება ხდება იმ პრობლემებზე, რაც კლასს აწუხებს; არსებობს მშობელთა ინფორმირების შემდეგი ფორმები: საჭიროების შემთხვევაში კლასის დამრიგებლის მშობელთან შეხვედრა; წერილობით; ელექტრონული ფოსტით; ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით: Facebook, messenger, Viber, ელექტრონული ჟურნალის, სკოლის ვებ– გვერდის საშუალებით. I – IV კლასებში წლის ბოლოს ხდება მოსწავლეთა დახასიათება/შეფასება განმავითარებელი კომენტარით. მშობლების შეტყობინების ფორმაა შევსებული ფორმების ელექტრონული ვერსიების დაგზავნა კლასის დამრიგებლების მიერ. მშობლების ინფორმირების ერთ-ერთი მექანიზმია კლასის დამრიგებლების მიერ შევსებული ფორმების ელექტრონული ვერსიების მიწოდება. მშობლებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ გიმნაზია ახდენს შესაბამის რეაგირებას. მშობელთა კრებებზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის გაცნობა. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებულია ხელშეკრულება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სასკოლო საზოგადოებას აქვს გიმნაზიის პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ ისინი მონაწილეობენ რეგულარულ, მრავალმხვრივ კომუნიკაციაში, მოსწავლის სასწავლო პროცესში და გიმნაზიის სხავადასხვა ღონისძიებაში. სასწავლო პროცესში მშობელთა აქტიურობა ამდიდრებს გიმნაზიის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად ისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებზე, მშობლებზე და მოსწავლეებზე. უმნიშვნელოვანესია, რომ გიმნაზიაში შექმნილია მზრუნველთა (მშობელთა) საბჭო. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გიმნაზიასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;*
- *მზრუნველთა საბჭოს დებულება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

გიმნაზიაში მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობების“ დოკუმენტი, სადაც გაწერილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო. სკოლაში განთავსებულია ცეცხლმაქრები და საევაკუაციო გეგმები. ფუნქციონირებს საევაკუაციო გასასვლელები, გიმნაზიას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი**. სკოლას აქვს **უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.** გიმნაზიას აქვს შსს სსდ სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული **შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადებითი დასკვნ**ა. ასევე, გიმნაზიას აქვს შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის დადებითი დოკუმენტი.** სკოლის ტერიტორიაზე ყველა შენობაში სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დარაჯები და

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი. **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი** აკონტროლებს გიმნაზიის შრომის უსაფრთხოების სისტემას, კონსულტაციას უწევს დირექტორს/მენეჯმენტის სხვა წარმომადგენელს შრომის უსაფრთხოების საკითხებზე და ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ. გიმნაზიის ტერიტორიაზე მყოფი ყველა დასაქმებული და სხვა პირი, უზრუნველყოფილია უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. დაცულია ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ გიმნაზიის ეზოში დგას ახლადაშენებული შენობა, რომელშიც დირექციის განმარტებით, უნდა გახსნილიყო საბავშვო ბაღი. თუმცა ამ ეტაპზე უფუნქციოა შენობა, არ არის შემოღობილი და დაცული. გიმნაზიაში განმარტეს, რომ დაწყებული აქვთ ამ საკითხზე ზრუნვა, აზომვითი სამუშაოები ჩატარებულია.

ხარვეზი: სკოლის ტერიტორია და ტერიტორია, რომელზეც დგას კერძო საკუთრება, არ არის გამიჯნული ღობით. შესაბამისად, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა ფოტო მასალა, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის ტერიტორია და ტერიტორია, რომელზეც დგას კერძო საკუთრება, გამიჯნულია ღობით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რელევანტურად მიიჩნია წარმოდგენილი მტკიცებულებები და 3.4.1.1. ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **სრულ შესაბამისობაში.***

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

გიმნაზიაში ფუნქციონირებს ექთნის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ავეჯით, სამედიცინო ინვენტარით, ტექნიკით, მედიკამენტებითა და სახარჯი მასალით. ექთნის კაბინეტში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, არის სველი წერტილი ნიჟარით. გიმნაზიას აქვს დირექტორის 2023 წლის 23 ოქტომბრის N 34 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.“ ვიზიტის ეტაპისთვის გიმნაზიას ემსახურებოდა ექთანი, ფარმაცევტის კვალიფიკაციით. დაწესედბულებას მიეცა **რჩევა:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი)

ფუნქციონირების წესის" №1.2 "სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის" შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის, სასურველია, დაწესებულებამ ისევ სცადოს კვალიფიციური ექიმის დასაქმებისთვის ვაკანსიის გამოცხადება.

ხარვეზი: გიმნაზიას ემსახურება ექთანი, ფარმაცევტის კვალიფიკაციით. შესაბამისად დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, ვაკანსიის გამოცხადებას და შესაბამისი კვალიფიციური კადრის დასაქმებას, გეგმავს 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და 3.4.1.2. ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, 2026 წლის 24 ივლისამდე, უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის ან ექთნის დასაქმება.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების" საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. გიმნაზიაში შიდა და გარე პერიმეტრებზე სათვალთვალო ვიდეოკამერებია, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ხორციელდება ვიდეოთვალთვალი, შენობის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. გიმნაზიამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 19 დეკემბრის N 50 ბრძანება ,,ვიდეომონიტორინგის ჩანაწერის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ." სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით. გიმნაზია უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, როგორც გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. მოსწავლეთა და თანამშრომელთა აღრიცხვის მიზნით, გიმნაზიამ 2025 წლის 1 სექტემბრის ერთწლიანი ხელშეკრულება წარმოადგინა edupage-თან. გიმნაზიას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. დირექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის N 54 ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის" დოკუმენტი, სადაც გაწერილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც შრომის უსაფრთხოების

ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას. გიმნაზიამ წარმოადგინა დირექტორის 2026 წლის 3 იანვარს N 2 ბრძანებით დამტკიცებული ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტი. პრევენციული მიზნებისთვის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი; სკოლის ფსიქოლოგის მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. გიმნაზია უზრუნველყოფს სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ჩამოთვლილი პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. ორგანიზებას უწევს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, გიმნაზიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების მეშვეობით. გიმნაზიის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, პრევენციის მიზნით დირექციის ინიციატივით და კლასის დამრიგებლების და მშობლების ჩართულობით იმართება შეხვედრები, რათა გამოიკვეთოს შესაძლო პრობლემები და საჭიროებები. გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით, ანონიმურობის დაცვით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გიმნაზია უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. კლასის ხელმძღვანელების მხრიდან ხშირად იგეგმება და ხორციელდება პროექტები მშობელთა ჩართულობით, იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. სადამრიგებლო პროგრამებში და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს გიმნაზიაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი.,,ადაპტაციის წესში“ გაწერილი აქტივობები დახმარებას უწევს არამარტო პირველკლასელებს და ახალ მოსწავლეებს, არამედ ეხმარება საერთოდ მოსწავლეებს სასწავლო გარემოში ადაპტირების პროცესში. ინდივიდუალური თუ გუნდური კონსულტაციები

მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნას, მათთვის თვითგამოხატვის საშუალების მიცემას. ფსიქოლოგის სამსახური უზრუნველყოფს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საჭირო მეთოდური მითითებებით, სხვადასხვა სახის აქტივობებითა და ტრენინგებით. აღნიშნული დასტურდება ფსიქოლოგთა სამოქმედო გეგმით, სემესტრული ანგარიშებით. ექსპერტებთან საუბრისას სკოლის პერსონალი ხაზს უსვამდა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს არსებობას გიმნაზიაში. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები გიმნაზიაში ქმნის ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს. დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც დამრიგებელი ასაკის შესაბამისად მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება და სხვა. გიმნაზია უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლის განმარტებით, სასწავლო წლის განმავლობაში, ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, გიმნაზია ახდენს ძალადობის რისკების შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში მათი ანონიმურობის დაცვით. გარდა ამისა მოსწავლეთათვის ხორციელდება საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლა უზრუნველყოფს სხვადსხვა სასკოლო აქტივობებით (კონკურსები, სპორტული შეჯიბრებები, პროექტები, საკლასო /სასკოლო თეატრალური წარმოდგენები, როლური თამაშები, კვირეულები, ფსიქოლოგებთან შეხვედრები და სხვა) მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობას. ეს ყველაფერი მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

გიმნაზიაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც გიმნაზიის შიდა, ასევე - გარე პერიმეტრზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. დირექტორის მიერ 2023 წლის 25 ოქტომბრის N 37 ბრძანებით დამტკიცებულია ,,დამლაგელბლის თანამდებობრივი ინსტრუქცია.";დამლაგებლები უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით დამუშავებას. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სტანდარტის შეასაბამისად. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფენ დამლაგებლები. გიმნაზიას ჰყავს 2 დამლაგებელი. გიმნაზიაში ხდება სველი წესით დასუფთავება, დეზინფექციის ჩატარება, შედგენილია დამლაგებლების განრიგი. თვეში ერთხელ ტარდება შენობების გენერალური

დასუფთავება, ამისათვის გამოიყენება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები. სკოლის ფანჯრები იწმინდება დაბინძურების შესაბამისად. ნიჟარები, უნიტაზები ირეცხება ჯაგრისით სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით მათ ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მიმართულებით არსებული რეკომენდაციებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, გიმნაზია მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით: ა) წყლის უსაფრთხოება; ბ) სანიტარული და ჰიგიენური უსაფრთხოება; გ) დასუფთავება და ნარჩენების მართვა. ყველა სართულზე დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. გიმნაზიაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

გიმნაზია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. გიმნაზიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან. ოფიცრის შესახებ მონაცემები განთავსებულია ვებ-გვერდზე pdps.ge. გიმნაზია მესამე პირების წვდომისგან იცავს კანონმდებლობით დაცულ პერსონალურ ინფორმაციას. პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია (პერსონალის პირადი საქმეები, მოსწავლეების პირადი საქმეები) ინახება კანცელარიაში, საქმეთამმართველის მეთვალყურეობის ქვეშ. eschool-ის ბაზაში დაშვება აქვს საქმისმწარმოებელს. გიმნაზია მონაცემებს აგროვებს კანონიერი საფუძვლით, კონკრეტული მკაფიოდ განსზღვრული კანონიერი მიზნებისათვის, მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოცულობით. მონაცემები მიზნის ადეკვატურია და პროპორციულად ინახება იმ ვადით, რაც აუცილებელია დამუშავების მიზნის მისაღწევად. გიმნაზია ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მათ შორის: ინფორმაცია მოსწავლის/თანამშრომლების ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა ნასამართლეობის (ზოგადი, სქესობრივ დანაშაულსა და უფლების ჩამორთმევის) შესახებ და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში). მონაცემები მუშავდება სხვადასხვა მოქმედების განხორციელებით, კერძოდ მოსწავლის და დასაქმებულის პირადი საქმის წარმოება, ელექტრონული ჟურნალის აღრიცხვა, ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემების აღრიცხვა/მოძიება, გიმნაზიის ტერიტორიაზე ვიდეო/ფოტო გადაღება და ა.შ. გიმნაზია ამუშავებს და ბრძანების სახით გამოსცემს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია პირისთვის მოსწავლის სტატუსის მინიჭებასთან, შეწყვეტასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, მობილობასთან, ჩარიცხვასთან და ა. შ. გიმნაზიაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში, გარდა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან წინასწარ შეთანხმებული

ინფორმაციისა. მოსწავლეთა და პერსონალის პირად ინფორმაციაზე, ესქულის ბაზაზე წვდომა შეზღუდულია და ხელი მიუწვდება მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირს/პირებს. ექსპერტებმა ადგილზე ვნახეთ დაწესებულებასა და სკოლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულები, სადაც დარეგულირებულია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ელექტრონულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. მატერიალური საკლასო ჟურნალები ინახება კანონმდებლობის დაცვით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

ელექტრონულ პროგრამაში მოსწავლეები ტვირთავენ შესრულებულ დავალებებს, რომელსაც ხედავს მხოლოდ შესაბამისი საგნის მასწავლებელი, აღნიშნული დავალების შემოწმების და შესაბამისი უკუკავშირის განხორციელების შემდეგ, მასწავლებელმა უნდა წაშალოს გამოგზავნილი დავალება. მოსწავლის დავალების შემოწმების შემდგომ მასწავლებელი წერს კომენტარს უკუკავშირის მიზნით, რომელსაც ხედვას მხოლოდ ადრესატი მოსწავლე. ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის შესახებ მონაცემების გამოყენება ხდება, მხოლოდ სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდებისთვის (დასაქმებულისთვის - სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაციის, მოსწავლისა და მშობლისთვის სასწავლო მიზნებისთვის არსებული ინფორმაციის მიწოდება). მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციულ მენეჯერს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). პირად საქმეებში მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირის მიერ, მაგალითად: მოსწავლის მიღების, კლასიდან კლასში გადაყვანის, მობილობის დროს ან მასწავლებლის მიღების/გათავისუფლების დროს. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. სკოლის მიერ დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.“ დირექტორის მიერ 2024 წლის 25 აგვისტოს N 15 ბრძანებით

დამტკიცებულია ,,გიმნაზიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელის პირი.“ **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

გიმნაზია მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. გიმნაზია ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებითაც. სკოლაში არსებობს პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობის ფორმები. გიმნაზიაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმი. გიმნაზიას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი, რომლის თანახმად სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს უფლებამოსილი პირი და სკოლის დირექცია. გიმნაზია აღჭურვილია ვიდეოკამერებით; ჰყავს ექთანი; გიმნაზიას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა; მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. გიმნაზია ახდენს პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. სკოლაში არსებობს პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობის ფორმები. გიმნაზიას მიერ შემუშავებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების“ საფუძველზე, სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის მიერ. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია სისტემატიურად გაუწიოს მონიტორინგი უფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას. მათ შორის მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. იგი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით. გარდა ამისა, შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული

მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დასტურდება სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ დოკუმენტი;*
- *ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ფოტოები;*
- *ექთნის ხელშეკრულება;*
- *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა*
- *პროექტები*
- *დამლაგელბლის თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბრძანება;*
- *დამლაგებელთან და დარაჯთან ხელშეკრულებები;*
- *სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;*
- *უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება*
- *უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის ბრძანება*
- *ერთწლიანი ხელშეკრულება edupage-თან;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესი*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმები*
- *ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურეობის ხელშეკრულება;*
- *ვიდეომონიტორინგის ჩანაწერების ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;*
- *უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილ და განცალკევებაზე პასუხისმგებელ სხვადასხვა სქესის პირთა დანიშვნის ბრძანება;*
- *შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
- *შსს სსდ სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადებითი დასკვნა;*
- *შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა;*
- *სხვადასხვა დასახელების სარეცხი და საწმენდი საშუალებების შესყიდვის ხელშეკრულება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

გიმნაზია სასწავლო პროცესს ახორციელებს ორსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, გიმნაზიის შენობა დაზუსტებული ფართობია 2523.00 კვ.მ. პირველი სართულის ფართი - 596,45 კვ. მ -ია, მეორე სართულის - 291.53 კვ.მ. გიმნაზიამ წარმოადგინა სანოტარო აქტი - უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება. გიმნაზიაში საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. სკოლა ჯამში ფლობს 120-ზე მეტ ინდივიდუალურ საკლასო მერხს და სკამს, გიმნაზიის შენობაში არის საერთო ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საკონფერენციო დარბაზი, რომელიც მეორე სართულზე მდებარეობს. გიმნაზიას აქვს სპორტული მოედანი და ცალკე შენობაში განთავსებული დიდი და კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, რომელსაც აქვს ტრიბუნები. დარბაზის ერთ მხარეს მოწყობილია დიდი სცენა, რომელიც ღონისძიებების დროს იხსნება. გიმნაზიაში გამოყოფილია სივრცე ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის. ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილიც. პირველ სართულზე 4 სველი წერტილია: 2 თითოადგილიანი თითო ხელსაბანით, ერთი 2ადგილიანი ერთი ხელსაბანით და ერთიც ადაპტირებული. მეორე სართულზე 3 სველი წერტილია: 2 სამადგილიანი თითო ხელსაბანით, და ერთი 2ადგილიანი ერთი

ხელსაბანით. სპორტულ დარბაზში 2 სველი წერტილი და 2 საშხაპეა და თითო-თითო გასახდელი გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. გიმნაზიის შენობაში არის საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხოდ და შეუფერხებლად წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: არის უწყვეტი ელექტროენერგია, სველი წერტილები მოწყობილია სანიტარული ნორმების სრული დაცვით, წყალმომარაგებისა და წყალარიდების სისტემებით, სანტექნიკური ხელსაწყოებით, კაფელისა და მეტლახის საფარით. ბუნებრივი განათებისათვის საკლასო ოთახებს აქვს დიდი ფანჯრები. გათბობის სისტემები დამონტაჟებულია რადიატორების გამოყენებით. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. ოთახებში განთავსებულია არსებულ მოსწავლეთა რაოდენობის ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხები, სასკოლო დაფები, მასწავლებლის მაგიდა, კედელზე განთავსებულია დაფები, სასწავლო თვალსაჩინოებები, მოსწავლეთა ნაშრომები. ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში შესაძლებელია განთავსდეს 120 მოსწავლის მაგიდა და სკამი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიმნაზიას საერთო ჯამში მფლობელობაში არსებული მერხი და სკამი სრულად შეესაბამება მათ მიერ მოსწავლეთა მოთხოვნილ რაოდენობას. გიმნაზიის ტერიტორიაზე დგას გათბობის საქვაბე და წყლის რეზერვუარი. სკოლის ეზოში ბუნებრივი ჭაა, რომელიც დაცულია. შენობას აქვს სათადარიგო გასასვლელები. გიმნაზიის მთელ ტერიტორიას ფარავს უკაბელო ინტერნეტის სისტემა, აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. გიმნაზიაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექთნის კაბინეტი, ხელოვნების და მუსიკის კაბინეტები. მოწყობილია პანდუსები. გიმნაზიას 120 მოსწავლეზე აქვს მოთხოვნა. ამ ეტაპზე გიმნაზიაში სწავლობს 73 მოსწავლე (ერთ ცვლაში). ინფრასტრუქტურა გამართულია. გიმნაზიას აქვს 1 პროექტორი, ასევე აქვს 13 პერსონალური კომპიუტერი, 2 პრინტერი და 2 ტელევიზორი. სკოლას შეუძლია მიიღოს 120 მოსწავლე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

გიმნაზიის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა: კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დარბაზი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის არსებობს მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ და შშმ მოსწავლე. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ სრულად და ჯეროვნად გამოიყენონ სპორტული სივრცე და აღჭურვილობა. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს არასაგაკვეთილო პერიოდშიც შეუძლიათ გამოიყენონ სპორტული სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია: კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი, სკანირება. გიმნაზიამ წარმოადგინა ,,მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის

წესი“, რომელიც დირექტორის მიერ 2023 წლის 24 აგვისტოს N 16/3 ბრძანებითაა დამტკიცებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

გიმნაზიის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკაში არის ფორმულარები, რომლითაც ხდება სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის გაცემა მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც გატარებულია მხატვრული ლიტერატურა, დანომრილია საინვენტარო ნომრით. სულ ჟურნალში გატარებულია 5940 წიგნი, არაფორმალური განათლების მისაღებად განკუთვნილი საკითხავი და შემეცნებითი ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დებულება), რომელიც დირექტორის მიერ 2023 წლის 23 ოქტომბრის N 33 ბრძანებითაა დამტკიცებული. შესასვლელში გამოკრულია მუშაობის საათები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკის განახლება პერიოდულად ხდება. განახლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასევე, მასწავლებელთა სურვილები სასწავლო რესურსად გამოიყენონ მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დებულება), რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 27 მარტის N 2-20 ბრანებით, რის შესაბამისადაც ხდება სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. წლების მანძილზე გიმნაზიაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. გიმნაზიამ წარმოადგინა ბიბლიოთეკარის ანგარიში, შესყიდული წიგნების ჩეკები, ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება, მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

გიმნაზია უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. გიმნაზიის შენობას აქვს პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები, რესურსოთახი აღჭურვილობითა და რესურსებით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების

რეგულაცია. თუმცა, ამ ეტაპზე არცერთი სსსმ და შშშმ მოსწავლე არ ჰყავთ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

გიმნაზიის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლის საკონფერენციო დარბაზი და სპორტუ დარბაზში მოწყობილი სცენა გამოიყენება სამუშაო შეხვედრებისთვის, საზეიმო ღონისძიებებისთვის, ინტელექტუალური ვიქტორინების, პროექტების, პრეზენტაციების, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრების ჩასატარებლად. სპორტულ დარბაზში ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, მხიარული სტარტები და სხვა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, და სათანადო ინვენტარით, მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ ლიტერატურას, მოიძიონ ინფორმაცია, მოაწყონ საგანმანათლებლო ღონისძიებები. სკოლას აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია. გიმნაზიის ინფრასტრუქტურა იძლევა კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების სასკოლო საზოგადოების, მშობლების, თემის წარმომადგენლების ჩართულობით ჩატარების შესაძლებლობას. გიმნაზიის ინფრასტრუქტურა რომ ემსახურება გიმნაზიის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, იქიდანაც ჩანს, რომ გიმნაზიაში არსებობს სამკითხველო, სარეკრიაციო სივრცე. გიმნაზიის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. მეორე სართულზე საკონფერენციო დარბაზია. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად და ღონისძიებების მოსაწყობად. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ;*
- *ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი ;*
- *საგნობრივი კურიკულუმები ;*
- *კათედრის ოქმები ;*
- *კომპიუტერების, ტელევიზორის, მერხების, დაფების მიღება-ჩაბარების აქტები ;*
- *პროექტები ;*
- *ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება;*

- *ბიბლიოთეკის დებულება;*
- *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;*
- *ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების აღრიცხვის ჟურნალი;*
- *ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;*
- *ძირითადი აქტივები;*
- *შენობა-ნაგებობის სქემა;;*
- *ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;*
- *წიგნადი ფონდის შესყიდვის დოკუმენტები;*
- *მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;*
- *გიმნაზიის ფეისბუქ გვერდი;*
- *გიმნაზიის ვებ-გვერდი;*
- *ბიბლიოთეკარის ანგარიში;*
- *ინვენტარიზაციის მასალები;*
- *სანოტარო აქტი - უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება;*
- *წიგნების შესყიდვის ჩეკები;*
- *ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქცია:*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

გიმნაზია უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. მათ გამოყენებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში მოქმედი WI FI -ის სისტემის როლი. სკოლას აქვს 13 პერსონალური კომპიუტერი, 2 პრინტერი, 1 პროექტორი, 2 ტელევიზორი. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ N 16/3 (24.08.2023) ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, ასევე, წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გეგმა-გრაფიკი. ორივე ეს დოკუმენტი ლაბორატორიებშია გამოკრული. გიმნაზიაში არსებობს გიმნაზიის ციფრული განვითარებს გეგმა. გიმნაზია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მათ შორის: ინტერნეტქსელით აღჭურვილი კლასები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით IT კაბინეტი, კომპიუტერით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. გიმნაზიას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი, სადაც განთავსებულია კომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ მასწავლებლები. მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართულობით იქმნება ელექტრონული რესურსები. სასკოლო საზოგადოების მიერ აქტიურად ხდება გიმნაზიის სოციალური ქსელის, ელექტრონული ფოსტის, მართვის საინფორმაციო სისტემის, ელექტრონული ჟურნალის გამოყენება. გიმნაზია თავის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ახორციელებს შემდეგი სახის ინფორმაციული სისტემების გამოყენებას: გიმნაზიის ოფიციალური ვებ-გვერდი, სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, გიმნაზიის ელექტრონული ფოსტა; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის მკაფიო, ობიექტური და სრული. წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციისა და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

გიმნაზიას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია WI FI მოწყობილიბები. ყველა კლასში და სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერები, ინტერნეტი, ქსეროქსის აპარატები მუდმივად,

სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა, ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამობეჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა ელექტრონული ჟურნალი შეავსოს სრულფასოვნად სამუშაო დღის განმავლობაში. სკოლამ წარმოადგინა მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლას შემუშავებული ჰქონდა კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. რომლის თანახმად სკოლის პერსონალს/მოსწავლეს შეუძლია დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალა ინტერნეტ სივრციდან; უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ვებ-გვერდით; იმუშაოს სასწავლო პროგრამაზე და სხვ. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მათ საშუალება აქვთ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსებით, როგორც საგაკვეთილო, ასევე არასაგაკვეთილო პროცესში. გიმნაზიას აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული კლასისათვის ისეთი ელემენტების განსაზღვრას, როგორიცაა: საგაკვეთილო ცხრილი, საათები, შეფასების სისტემა, დავალებების ატვირთვა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ელემენტები. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით სკოლაში დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის ფინანსურ აღრიცხვასა და მონიტორინგს. სისტემის ადმინისტრირებას ახდენს ბუღალტერი. უსაფრთხოების მიზნით შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე ხორციელდება 24-საათიანი ვიდეო მონიტორინგი ხმის ჩაწერის გარეშე; აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა აქვს დირექტორს და პასუხისმგებელ პირს. **შესაბამისად. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;

- *კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გეგმა-გრაფიკი;*
- *მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;*
- *ლაბორატორიების ფოტოები;*
- *ნასყიდობის ხელშეკრულებები კომპიუტერების, ტელევიზორის, პრინტერის შესყიდვებზე;*
- *ინტერნეტის შესყიდვის ხელშეკრულება.*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

გიმნაზიაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული საქმიწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს გიმნაზიაში დოკუმენტბრუნვის პროცესს. გიმნაზია აწარმოებს ელექტრონულად და მატერიალურად შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალებში. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას, აღრიცხვასა და გადამისამართებას შესაბამისი რეაგირების მიზნით. ელექტრონული დოკუმენტბრუნვისათვის სკოლა იყენებს სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას. მასზედ შემოსული დოკუმენტი იბეჭდება, ტარდება შემოსული დოკუმენტაციის ჟურნალში, სადაც ეძლევა სარეგისტრაციო ნომერი. მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, საპასუხო წერილი იბეჭდება გიმნაზიის ტიტულიან ფურცელზე, ხელს აწერს სკოლის დირექტორი, ამის შემდეგ ტარდება გასული დოკუმენტაციის ჟურნალში და გადამისამართდება ადრესატთან (ელ. ფოსტის მეშვეობით). საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილი, აკინძული და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და ხელმოწერით. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია მოიცავს სავალდებულო რეკვიზიტებს, (მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი, ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა, მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის/ების გვარი, სახელი და ხელმოწერა. გიმნაზიაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. სკოლის დირექტორის N16/9 (24.08.2023) ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი (დებულება), დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ხდება შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვა. სკოლის დირექტორის N2/1 (01.02.2024) ბრძანებით დანიშნულია ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაზე პასუხისმგებელი პირისაქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება. დოკუმენტები ინახება შესაბამისად და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალებში. პერსონალისა და მოსწავლის პირადი საქმეები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შემოსულ წერილებს პასუხები ეგზავნებათ შესაბამის **ვადებში. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

გიმნაზიის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. ელექტრონული საქმისწარმოებისათვის გიმნაზიის მართვისას აქტიურად გამოიყენება eschool და ელექტრონული ფოსტა. სკოლას აქვს eschool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool-ს სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპონდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა. გიმნაზიის მართვისა და საქმიწარმოებაში გამოიყენება IT ტექნოლოგიები. თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მართვის და კომუნიკაციის პროცესების გაუმჯობესების მიზნით აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები, ელ.ფოსტა, ელ ჟურნალი, ვებ-გვერდი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ დაწესებულებას აქვს საკუთარი პროფილი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool), სადაც ასახავს ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. Eschool-ში სრულყოფილად არის ასახული მონაცემები სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის მთლიანი პერსონალის შესახებ, მასწავლებელთა პირადი პროფილი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

გიმნაზია აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. მაგალითად: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. გიმნაზია ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე წარსადგენად. ასევე, ყოველთვიურად წარადგენს შემოსავლების სამსახურში შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გიმნაზიის ს eschool -ის გვერდი;*
- *საქმისწარმოების წესი;*
- *გიმნაზიის ელექტრონული ფოსტა;*
- *რეგისტრაციის ჟურნალები;*
- *ბუღალტრის ანგარიში;*
- *ელექტრონულ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;*
- *SCHOOL.MS-თან ვადის გახანგრძლივების შესახებ ხელშეკრულება;*
- *მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებები.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“ - ბრძანება N 51 (20/12/2023), რომლითაც განისაზღვრება ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვის პრინციპები, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი და სხვ. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. გიმნაზია რეგულარულად უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების, ღონისძიებების შესახებ, რისთვისაც იყენებს სოციალურ ქსელში შექმნილ სკოლის ფეისბუქ გვერდს, ელექტრონულ ფოსტას, ელექტრონულ ჟურნალს, საინფორმაციო დაფებს, მესენჯერს. გიმნაზიას აქვს ვებ-გვერდი (www.shavnabada.ge), ასევე, სოციალური ქსელის გვერდი (FACEBOOK), სადაც განთავსებულია მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (სასკოლო / სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების და სხვა) შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული

საკონტაქტო ინფორმაცია იძლევა დაწესებულებასთან კომუნიკაციის შესაძლებლობას. მათ შორის, უკუკავშირის გაკეთების საშუალებას. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის, გარდა ვებგვერდის და სოციალური ქსელისა, გიმნაზია იყენებს: მოკლეტექსტურ შეტყობინებებს; სატელეფონო ზარებს; ელექტრონულ ჟურნალს; სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრებს (მაგ. ღია კარის დღე, მშობელთა კრებები და ა.შ), სხვადასხვა მიზნობრივ კითხვარებს. ვებგვერდი ინფორმატიულია, მასზე წარმოდგენილი ინფორმაცია - გიმნაზიის საკანონმდებლო ბაზა, განხორციელებული აქტივობები და სხვ. გიმნაზიამ წარმოადგინა დირექტორის №ფ27 (19/10/23) ბრძანება, გიმნაზიაში საჯარო ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ, რომელიც ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ამზადებს ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და ვებ-გვერდზე განსათავსებლად. საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნებისათვის, გიმნაზია პერიოდულად ახორციელებს გიმნაზიის მიღწევებისა და საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების/ტექსტების/ფოტო და ვიზუალური მასალის მომზადებას და გავრცელებას, გიმნაზიის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ტრადიციული სასკოლო აქტივობების მოწყობას. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. აქვს ვებ-გვერდზე გასაჯაროებულია ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

გიმნაზიის სოციალური ქსელის გვერდსა და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია გიმნაზიის საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. გიმნაზიაში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პრინციპები, რომლის თანახმად, დაწესებულება არ უნდა ავრცელებდეს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს მისი გადამოწმება/დადასტურება. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითაც დასტურდება აქტივობები და მიღწევები. აქედან გამომდინარე, გიმნაზია უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

გიმნაზია მუდმივად მზადაა მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები. გიმნაზიას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი (კომუნიკაციის სტრატეგიები). წესით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მეთოდები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს გიმნაზია იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ვიზიტის ფარგლებში სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით ინტერვენციების დაგეგმვა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გავეცანით ჩატარებული კვლევების/გამოკითხვების ანალიზებს, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა შედეგობრივი კავშირები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს გიმნაზია იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები და ღონისძიებები. დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და მათგან იღებენ უკუკავშირს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

გიმნაზიას აქვს მოქმედი ვებ გვერდი: (https://gimnazia.edupage.org), რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. გიმნაზიაში საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება ქართულ ენაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

გიმნაზიის ვებ გვერდი https://gimnazia.edupage.org გიმნაზიის შესახებ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები,

გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. ფაქტიურად, სკოლის ძირითადი დოკუმენტებია განთავსებული ვებ გვერდზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;*
- *გიმნაზიის ვებ გვერდი: https://gimnazia.edupage.org;*
- *სკოლის საინფორმაციო დაფა;*
- *ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ცაგერის წმინდა ილია მართლის ასხელობის გიმნაზიის ფეისბუქგვერდის მისამართი: https://www.facebook.com/profile.php?id=100057355822393;*
- *გიმნაზიაში საჯარო ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ბრძანება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

გიმნაზიაში ფინანსური პოლიტიკის მიმართულებით პასუხისმგებლობა ეკისრება ბუღალტერს. მის ფუნქცია-მოვალეობებში შედის: საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზება; საბუთების დროული გაფორმება; სკოლის ფულადი სახსრების

მოძრაობის და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა; სკოლის თანამშრომელთა ხელფასების დროული დარიცხვა და გაცემა. ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებთან წარმოშობილი ანგარიშსწორებათა დროული აღრიცხვა; ბუღალტრული ანგარიშების შედგენა და დაწესებულ ვადებში საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებში წარდგენა; ბუღალტრული დოკუმენტების აღრიცხვა და რეგისტრირება. ადგილზე გავეცანით გიმნაზიის საპროგნოზო ბიუჯეტს. ძირითადი შემოსავალი არის ვაუჩერული დაფინანსება. გიმნაზიის ერთწლიანი გეგმისა და ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება თავის ფინანსებს მიმართავს სამოქმედო გეგმის შესასრულებლად. ბუღალტერი ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსებისთვის საჭირო თანხებს. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა პროფესიული განვითარების, პერსონალის და ასევე მოსწავლეების წახალისების ხელშეწყობა. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რესურსი ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო, ხოლო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური/ტექნიკური რესურსით. შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხმარდება პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფასა და კომუნალურ გადასახადებს. თუმცა, დარჩენილი თანხა მიმართულია იმ პრიორიტეტებზე, რომელიც გიმნაზიის სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანა. გიმნაზიის ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებს დირექტორი და ბუღალტერი. სასკოლო საზოგადოების საჭიროების გამოსავლენად ყოველწლიურად ტარდება კვლევები. სკოლის დირექტორი ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ მონიტორინგს. გიმნაზია ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. 1 მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა;*
- *ხელშეკრულებები შესყიდვების შესახებ - კომპიუტერული ტექნიკის, ტელევიზორის, პრინტერის, მერხების, ინტერნეტის შესყიდვა;*
- *ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;*
- *ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება;*
- *საშტატო განრიგი;*
- *ერთწლიანი სამოქედო გეგმა.*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შიდა რეგულაციები ფარავს მოსწავლეთა უფლებების ყველა ძირითად ასპექტს. შინაგანაწესში მოცემულია შემდეგი რეგულაციები: მოსწავლის წახალისება, მოსწავლის ქცევის წესები, მოსწავლის დიციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები. გიმნაზიას დამტკიცებული აქვს გასაჩივრების პროცედურები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. ბრძანებით დამტკიცებულია მონაცემათა დაცვაზე, უსაფრთხობისა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირები. გიმნაზიაში შექმნილია მზრუნველთა საბჭო. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამტკიცებულია დამრიგებლის დებულება. აკადემიური პროცესების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს, მათ შორის: შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესს, ქულების დაანგარიშების მექანიზმებს, საგამოცდო პროცედურებსა (სემესტრული, საშემოდგომო, ექსტერნატი) და შინ სწავლების პირობებს, რაც გამორიცხავს მოსწავლის აკადემიური უფლებების დარღვევის რისკებს. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები აკონკრეტებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

ინდიკატორი 4.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას. სასკოლო რეგულაციების განმსაზღვრელი დოკუმენტაცია გამჭვირვალეა და სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე. ასევე ვიზუალურად ხელმისაწვდომია სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. აღნიშნული, ასევე, უზრუნველყოფილია კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით. სკოლის მიერ დანერგილი კომუნიკაციის სისტემა გამორიცხავს ინფორმაციულ ვაკუუმს, რაც დასტურდება როგორც დოკუმენტური მტკიცებულებებით, ასევე ვიზუალური დათვალიერებით და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგებით. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე ხდება შიდა რეგულაციების დეტალური გაცნობა. შინაგანაწესი განხილულია როგორც სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. მშობლის მიერ დოკუმენტაციის გაცნობა და მასზე თანხმობა დასტურდება ინდივიდუალური ხელმოწერებით, რაც უზრუნველყოფს მხარეთა პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს.

ინდიკატორი 4.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

დაწესებულებასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის 2025-2026 სასწავლო წელის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დოკუმენტში ნათლად არის დიფერენცირებული სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები. ხელშეკრულება მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზების, უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის, დავების გადაჭრის მექანიზმებისა და ურთიერთობების შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალს. დოკუმენტები დადასტურებულია რეკვიზიტებითა და მხარეთა ხელმოწერებით, რაც გამორიცხავს ინტერპრეტაციების შესაძლებლობას და ზრდის ინსტიტუციურ სანდოობას.

ინდიკატორი 4.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დაწესებულებამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი, რომელშიც გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, აღნიშნული მიგნებების შესახებ ექპერტებმა ვიზიტის ეტაპისთვის გაუზიარეს მიგნებები დაწესებულების წარმომადგენლებს. აღნიშნული მიგნებები გაიზიარეს დაწესებულების წარმომადგენლებმა და ხარვეზი აღმოიფხვა. საფეხურის დაძლევის მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. გიმნაზიის დირექტორის #50/9 ბრძანებით დამტკიცებულია უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების

წესი. აღნიშნული დოკუმენტები ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 4.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

დოკუმენტაციია ანალიზით და სკოლის ციფრული პლატფორმების შესწავლის შედეგად, დაწესებულების პრაქტიკით დასტურდება, რომ გიმნაზია იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. წესის თანახმად მოსწავლეთა რაოდენობა კლასში არ აღემატება 15 მოსწავლეს. დაწესებულებას პრაქტიკაში არ ჰქონია გაცდენების გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევა. გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეებისათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ყველა მექანიზმი ცნობილია.

ინდიკატორი 4.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შენობაში, ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოსწავლის ქცევის წესები, შინაგანაწესი, ბიბლიოთეკით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის წესები, გაკვეთილების ცხრილი და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სკოლის ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

დაწესებულების ვებ გვერდზე და შენობაში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების, პროგრამებისა და კლუბების შესახებ ინფორმაცია. ასევე, ქცევის წესები და სხვა ინფორმაცია. მოსწავლეებთან,

მოსწავლეთა მშობლებთან / კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის მათ ინფორმაციას სკოლაში არსებული დამატებითი მომსახურების შესახებ. აღნიშნულ პროცესში, მნიშვნელოვანი როლი აქვს კლასის დამრიგებელსაც.

ინდიკატორი 4.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი ბრძ.42 26/10/2023;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;*
- *უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების წესი ბრძ.50/9. ოქტომბერი,2025 წელი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული და დირექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი, რომელიც მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს, პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა, საბაზო

და საშუალო საფეხურზე გადამსვლელ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციის მექანიზმებს. ასევე, დეზადაპტაციის ნიშნებსა და მასზე რეაგირების მექანიზმებს. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე აღწერილია თუ როგორი უნდა იყოს სასწავლო წლის პირველი დღე.

ინდიკატორი 4.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დადასტრდა, რომ პირველკლასელთა ადაპტაციას გიმნაზია იწყებს სასწავლო წლის დაწყებამდე. გიმნაზიაში იწვევენ ყველა მომავალ პირველკლასელს, რომელსაც პირადად ეცნობა გიმნაზიის დირექტორი. დამრიგებლისა და ფსიქოლოგის ჩართულობით ხორციელდება სტრესის მოსახსნელი აქტივობები, გასაუბრება, გიმნაზიის შენობისა და ყველა საჭირო სივრცის შესწავლა. პირველ დღეს მასწავლებელი მოსწავლეებს ხვდება მორთული კლასით და სახალისო აქტივობებით. მობილობით გადმოსული მოსწავლების შემთხვევაშიც პრაქტიკულად იგივე ხორციელდება, რაც ხელს უწყობს მათ სწრაფ ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორი 4.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ გიმნაზია მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას აკადემიური მოსწრების, ექსტერნის, საშემოდგომო გამოცდის, შეფასების კრიტერიუმის შესახებ. გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დამრიგებლის დებულება, რომლის თანახმად, დამრიგებლის ერთ-ერთი მოვალეობაა მოსწავლის მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიმართულებით. ამ მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საკონსულტაციო და სარემედიაციო მხარდაჭერას. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. ელექტრონული ჟურნალი უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობლების დროულ ინფორმირებას აკადემიური პროგრესის შესახებ.

ინდიკატორი 4.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონირი წარმომადგენლი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმაცია. ასევე, გიმნაზიას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. 2025 - 2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია მოსწავლეთა

აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა, რომლის ერთ-ერთ აქტივობებად გათვალისწინებულია სწავლა - სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა შინ სწავლების განხორციელების წესი. მოსწავლეებმა და მშობლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ დაწესებულება მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 4.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები. დირექცია, ადმინისტარაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები თუ დამრიგებლები მუდმივად არიან ჩართულნი მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესში. მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მათი ინტერესების შესაბამისად ორგანიზებულია სასწავლო ექსკურსიები, გიმნაზია აქტიურად თანამშრომლობს ცაგერის მუზეუმთან. გამოვლენილი აქტუალური თემების ფარგლებში ეწყობა საჯარო განხილვები/ დებატები. ტარდება სპორტული და სახელოვნებო ღონისძიებები. ასევე, ტრადიციული საშობაო ღონისძიება, შემოდგომის კვირეული და დამამთავრებელი კლასის ღონისძიება ,,ბოლო ზარი". გიმნაზიაში ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტორიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, უცხოური ენისა და სიმღერის წრე. წრეების ხელმძღვანელები განსაზღვრულია გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით.

ინდიკატორი 4.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და მათ კანონიერ წარმომადგენელთა პერიოდულ გამოკითხვას, ახდენს SWOT ანალიზს და მისი შედეგების მიხედვით განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ საკითხებს. უკუკავშირის ძირითად არხებად გამოიყენება დამრიგებლის საათი და მშობელთა კრებები. დამრიგებლის დებულების თანახმად დამრიგებელია პასუხისმგებელი დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღებასა და მასზე რეაგირებაზე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. თვითმმართველობის დებულების თანახმად, მოსწავლეთა ინიციტივით იქმნება სასკოლო კლუბები. აღნიშნული მექანიზმები არ არის მხოლოდ ფორმალური.

მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის/გასაუბრების შედეგები აისახება სკოლის გადაწყვეტილებებში. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციით, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 4.2.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ადაპტაციის წესი ბრძ.43. 30/10/2023;*
- *დამრიგებლის დებულება ბრძ 44/1. 06/09/2025;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;*
- *მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები ბრძ.49. 18/12/2023;*
- *თვითმმართველობის დებულება #16/10. 28/08/2026.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. აღნიშნული მემორანდუმი ვიზიტის ეტაპისთვის განახლების პროცესში იყო. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით დაწესებულებაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება – ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების გაცნობა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ანხორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. საბაზო და საშუალო საფეხურის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული ორიენტაციის თემატიკის ინტეგრაციას საგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორი 4.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

ინტერვიუს დროს, მოსწავლეებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დამლევის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე, სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ სკოლას და მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიების მნიშვნელობის შესახებ.

ინდიკატორი 4.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

დაწესებულებამ წარმოადგინა მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევის შედეგები, მოსწავლეთა სასკოლო ფორმებთან დაკავშირებით მშობლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, SWOT ანალიზი - სტრატეგიული დაგეგმვისთვის. აღნიშნულ დოკუმენტებში გამოკვეთილია დადებითი და სუსტი მხარეები სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული კვლევების საფუძველზე სკოლამ განსაზღვრა შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებები. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 4.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დამრიგებლების პორტფოლიო;*
- *კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;*
- *კვლევის ანგარიში;*
- *SWOT ანალიზი.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო გეგმაში მოცემულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, სსსმ მოსწავლის შეფასების, შინ სწავლებისა და მისი უფლებების დაცვისა და რეალიზების მექანიზმები. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტების შინაარსიდან დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლე.

ინდიკატორი 4.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის ეტაპისთვის სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხება, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პოლიტიკა და მზადყოფნის სისტემა, რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობას. სკოლის პედაგოგიური პერსონალი ინფორმირებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენის მეთოდოლოგიის შესახებ, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის პოტენციური წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი. ბრძ.50/7. 15/10/2025;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულება ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) რომელსაც ესაჭიროება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღება.

ინდიკატორი 4.2.4.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

გიმნაზიაში ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტორიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, უცხოური ენისა და სიმღერის წრე. წრეების ხელმძღვანელები განსაზღვრულია გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით. მოსწავლეები წრეებში წევრიანდებიან ნებაყოფლობითობის პრინციპით.

ინდიკატორი 4.2.4.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს წესრიგის დაცვისა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სკოლის საქმიანობისთვის ხელშეწყობა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც მორიგეობს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე; დოკუმენტაციის შესწავლით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლაში ვიზიტით დგინდება, რომ დამატებითი მომსახურების განხორციელების, კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება განხორციელდება დამკვიდრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და გათვალისწინებული იქნება მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.

ინდიკატორი 4.2.4.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი;*
- *უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 23 აგვისტოს გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის ციკლურ პროცესს, რაც უზრუნველყოფს მისი მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა ძირითადი მხარე – მასწავლებლები, დირექცია, მოსწავლეები და მშობლები. მათი ჩართულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმირებით, არამედ მოიცავს თანამშრომლობასა და უკუკავშირის მექანიზმებს (მონაცემთა შეგროვება, კათედრის განხილვები, მშობლებთან კომუნიკაცია და სხვ.). სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მოქმედებს ერთიანი მეთოდოლოგიური ჩარჩო, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობასა და სისტემურობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, ინკლუზიას, ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას, მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციის ამაღლებას. არჩევითი საგნები შეთავაზებულია მოსწავლეთა და მშობელთა წინასწარი გამოკითხვის საფუძველზე. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გამოიყენება წინა წლის შედეგების ანალიზი, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას. წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის კურიკულუმის შესრულების ანგარიში და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები. ექსპერტები ადგილზე გაეცნენ გამოკითხვის მტკიცებულებებს.

ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება სკოლაში არსებულ „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიას“, რომელიც განსაზღვრავს მასში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის მონაწილეობის ფორმატს. კურიკულუმი ყოველწლიურად ახლდება მასში შემავალი საგნების/საგნობრივი ჯგუფების წინა წლის შეფასების საფუძველზე, განიხილება აკადემიურ დირექტორთან, პედაგოგიური საბჭოს მიერ და მტკიცდება გიმნაზიის დირექტორის მიერ. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არის შინაარსობრივი და არა ფორმალური.

ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ინფორმაციის გავრცელება ხდება როგორც ადმინისტრაციულ დონეზე, ისე უშუალო ბენეფიციარებთან (მშობლებთან და მოსწავლეებთან). ინფორმაციის გაზიარების მიზნით, დამრიგებლები სისტემურად აწვდიან მშობლებს ინფორმაციას, იღებენ უკუკავშირს. სკოლის სასწავლო გეგმა ატვირთულია სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია ბრძ. 16/11. 2023წ;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი #1 06/09/2025;*
- *გიმნაზიის დირექტორის მოადგილის ანგარიში 27/07/2025;*
- *ვებ გვერდი https://gimnazia.edupage.org/*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში. საგნობრივი კურიკულუმის სტრუქტურული ელემენტები, დაგეგმილი თემები, საკითხები, რესურსები და სასწავლო სტრატეგიები შესაბამისობაშია ესგ სტანდარტებთან, თითოეული თემის ფარგალში დაგეგმილია შესაბამისი საგნობრივი სამიზნე ცნებების დამუშავება, შეთავაზებული შემოქმედებითი დავლებები ასახავს მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუქტივისტული პრინციპებით აგებას და ორიენტირებას მოსწავლეზე. **რჩევა: დაწყებითი საფეხური** - სასურველია, სავალდებულო თემის სახელწოდებები შესაბამისად ასახოთ. მაგ.. მე-5 კლასის კურიკულუმში თემა ''გარემოსთან შეგუება'' შეცვალეთ თემა -

	''ეკოსისტემებით'', მე-6 კლასში საკითხები გააერთიანეთ სამ სავალდებულო თემად და დაგეგმეთ თემების თანმიმდევრული სწავლება, ამასთან თავად შეარჩიეთ რიგითობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები წარმოდგენილია სამივე საფეხურზე, რომელიც შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კურიკულუმი შედგენილია ისე, რომ მოსწავლე ჩართულია სასწავლო პროცესში, ყურადღება მახვილდება სწავლის სტრატეგიებზე. საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის განვითარებას. გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებით სავალდებულო საგნების: საღვთო სჯულის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ქრისტიანული ზნეობის საფუძვლების, ძველი ქართული ანბანის-მედავითნეობის სწავლებას. თითოეული დამატებითი საგნისათვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა. გიმნაზიის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასების პრინციპები განსაზღვრულია და აღნიშნულია ესგ-ის შეფასების პრინციპებში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან და ითვალისწინებს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს. კურიკულუმები უზრუნველყოფს უცხოურ ენებზე დაფუძნებული სწავლების სისტემურ, თანმიმდევრულ და გრძელვადიან პროცესს სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ორიენტირებულია მოსწავლეზე. დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმი გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის მხარდამჭერ ინსტრუმენტად. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები და განვითარების თავისებურებები. სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების შესაბამისად. შუალედური მიზნების შესაფასებლად გამოყენებული აქტივობები და დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ და განვითარების თავისებურებებს და ხელს უწყობს მათი ჩართულობისა და პროგრესის მხარდაჭერას. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები, რაც ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებისა და სხვადასხვა უნარის

	განვითარებისათვის. მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო და საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს მათი სოციალური, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ჩანს მკაფიო კავშირი საგნობრივ სტანდართან: სამიზნე ცნებები, ძირითადი საკითხები, სავალდებულო თემები და ტექსტები შესაბამისობაშია სტანდარტის რეკომენდაციებთან. მასწავლებლები შემოქმედებითი ბუნების დავალებების საშუალებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. თემებისა და ტექსტების შერჩევისას გათვალისწინებულია როგორც სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნები, ასევე მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები (მაგალითად, კავშირი ბუნებასთან, ჩემი თანატოლები, თანაგრძნობა და სინანული, მშობლიური კულტურა, ადამიანი და საზოგადოება - ის კონტექსტებია, რომლებზე მსჯელობაც მოსწავლეს პირადი გამოცდილების საფუძველზეც შეუძლია). **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ესგ, მასში გადმოცემულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და ის ძირითადი თემები რომელიც საშუალებას მისცემს პედაგოგს სასწავლო პროცესი წარმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, იგივე დასტურდება მასწავლებელთან გასაუბრების შემდეგ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმები II-VI კლასში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები; სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; განმსაზღვრელი და განმავითარებელი

	შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. (გარდა ბუნებისმეტყველების IVკლასის კურიკულუმისა).შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, პედაგოგებმა გასაუბრებაზე დაგვიდასტურეს აღნიშნული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები აგებულია ესგ სასწავლო მიზნების შესაბამისად, ჩარჩოში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. ქვესაკითხები მიმართებაშია საკითხებთან, საკითხები გამომდინარეობს თემებიდან, კონტექსტ-მაგალითები ითვალისწინებს სასწავლო ერთეულის განვითარებას ნაცნობიდან უცნობისკენ, შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფუნქციური ცოდნის შეძენას საფეხურის შედეგების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომები და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, რომელიც გულისხმობს სამიზნე ცნებების საშუალებით სასწავლო საკითხებისა და თემების სწავლა-სწავლებას და რეალიზებას. სასწავლო პროცესი აღიქმება, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, სკოლას გაცნობიერებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელობა და მისი გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად ისახავს შუალედურ მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები გაწერილია სამიზნე

	ცნებებზე დაყრდნობით. სამიზნე ცნებები მიემართება ესგ-ით გათვალისწინებულ საფეხურებრივ შედეგებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. ისინი ორიენტირებულია მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე, კულტურული ცნობიერების გაღრმავებაზე, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ხელშეწყობასა და ეფექტური სასწავლო უნარების ჩამოყალიბებაზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა**:სასურველია, კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებულ დავალებებს, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების სასწავლო პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად გადატანას.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია თემატური ბლოკები, საკითხები, აქტივობები და შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც ქმნის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის საფუძველს. ამასთან, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცალკეულ კლასებსა და თემატურ ერთეულებში გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას და კურიკულუმის დოკუმენტში უფრო მკაფიო ასახვას. დაწყებითი და საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის თითოეულ თემაში საჭიროა დაზუსტდეს ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება. IV კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის მეორე თემაში მისათითებელია სამიზნე ცნება „სახვითი ხელოვნების ჟანრები და დარგები“. ამავე თემაში არ იკვეთება კავშირი თემას, საკითხსა და შემოქმედებით დავალებას შორის. კერძოდ, თემად წარმოდგენილია „ადამიანი და ხელოვნება“, საკითხი უკავშირდება სამყაროში არსებული მრავალფეროვნებისა და ბუნების ცვალებადობის აღმოჩენასა და ნამუშევარში ასახვას, ხოლო შემოქმედებითი დავალების პირობა მოსწავლეს სთხოვს მოზაიკის ტექნიკით, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, კონკრეტული საგნის, მაგალითად ხილის, ბოსტნეულის ან ფრინველის ასახვას. აღნიშნული საჭიროებს შინაარსობრივ დაზუსტებას, რათა თემის, საკითხისა და დავალების ურთიერთკავშირი უფრო ნათლად წარმოჩნდეს.

	IV კლასის მეოთხე თემაში კვლავ მითითებულია თემატური ბლოკი „ადამიანი და ხელოვნება“, თუმცა წარმოდგენილი მასალა უფრო მეტად ზოგადი თემატური ბლოკის სახეს ატარებს. აღნიშნულ თემაში არ არის განსაზღვრული საკითხი, ხოლო რესურსის/მაგალითის ველში მითითებული ჩანაწერი „სამყაროში არსებული მრავალფეროვნების, ბუნების ცვალებადობის აღმოჩენა და ასახვა ნამუშევარში”, რაც არ წარმოადგენს რესურსს და შინაარსობრივად არ უკავშირდება მითითებულ თემას. ასევე, მკაფიოდ არ ჩანს შემოქმედებითი დავალების კავშირი თემასთან. ამავე თემაში არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები “სახვითო ხელოვნების დარგები და ჟანრები”. ამავე კლასის V დაVI თემებში, საკითხების ნაცვლად ჩამოთვლილია პარაგრაფის თავები. V და VI კლასების კურიკულუმებში, კერძოდ მეორე და მესამე თემებში, არ არის მითითებული სამიზნე ცნება „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“, თუმცა თემატური შინაარსი და სასწავლო მასალა რეალურად უკავშირდება აღნიშნული ცნების დამუშავებას VII კლასის კურიკულუმში გამოიკვეთა თემატური ბლოკებისა და შემოქმედებითი დავალებების ურთიერთშეუსაბამობა. კერძოდ, პირველ თემატურ ბლოკად მითითებულია „გარემო და ხელოვნება“, თუმცა შემოქმედებითი დავალების პირობა მოსწავლეს სთხოვს საგაზეთო სტატიის შექმნას თემაზე „ეპოქა და ადამიანის გამოსახულება“, რაც შინაარსობრივად უფრო მეტად უკავშირდება თემატურ ბლოკს „ადამიანი და ხელოვნება“. ამავე თემის რესურსებიც აღნიშნულ მიმართულებას შეესაბამება. მეორე თემატურ ბლოკში კი, რომელიც მითითებულია როგორც „ადამიანი და ხელოვნება“, შემოქმედებითი დავალება პეიზაჟის შექმნას ითხოვს, რაც უფრო მეტად შეესაბამება თემატურ ბლოკს „გარემო და ხელოვნება“. შესაბამისად, საჭიროა თემატური ბლოკების, საკითხებისა და დავალებების გადახედვა და შინაარსობრივ შესაბამისობაში მოყვანა. ესამე თემაში, “საზოგადოება და ხელოვნება”, რეალურად მუშავდება, თუმცა არ არის ასახული სამიზნე ცნება - „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“. ამავე თემაში ქვეცნებების ნაცვლად მითითებულია მკვირდრი წარმოდგენები, რაც საჭიროებს შესწორებას. VIII კლასის მესამე თემაში, “საზოგადოება და ხელოვნება”, არ არის ასახული სამიზნე ცნება - „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“, მიუხედავად იმისა, რომ თემის გარფლებში ჩანს აღნიშნული სამიზნე ცნების დამუშავება. IX კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია თემატური ბლოკი „ადამიანი და ხელოვნება“, თუმცა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით აღნიშნულ კლასში ეს თემატური ბლოკი ცალკე აღარ არის განსაზღვრული. კურიკულუმში აღნიშნულ ბლოკში მოცემული საკითხები შინაარსობრივად

	მიემართება თემატურ ბლოკს „საზოგადოება და ხელოვნება“. შესაბამისად, მიზანშეწონილია თემატური ბლოკის დასახელებისა და მასში მოცემული საკითხების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული სასწავლო გეგმასთან. **რჩევა:** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების **საშუალო საფეხურის** კურიკულუმში დაზუსტდეს კონტექსტი/მაგალითი და შესაბამისობაში მოვიდეს ვიზიტის დროს წარმოდგენილ პროექტის გეგმასთან. მიზანშეწონილია, კურიკულუმის ჩარჩოში უფრო მკაფიოდ აისახოს პროექტის იდეა, მათ შორის ის კვლევითი საქმიანობა და ისტორიული წყაროების გამოყენება/დამუშავება, რომლებიც რეალურად გათვალისწინებულია პროექტზე მუშაობის პროცესში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ექსკურსია წარმოდგენილი იყოს როგორც სასწავლო აქტივობა და არა როგორც თემა. სასურველია ქვეცნებების დაკონკრეტება, რომელიც უშუალოდ მუშვდება პროექტის ფარგლებში. **ხარვეზი:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმები სრულად არ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. თემატურ ერთეულებში მკაფიოდ და სრულად არ არის ასახული შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. არ არის უზრუნველყოფილი თემატური ბლოკების, საკითხების, რესურსების, სამიზნე ცნებებისა და შემოქმედებითი დავალებების შინაარსობრივი და ლოგიკური შესაბამისობა, რათა ნათლად გამოიკვეთოს კავშირი თემას, საკითხს, სასწავლო აქტივობებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის. თემატურ ერთეულებში წარმოდგენილი საკითხები არ არის დაზუსტებული. შემოქმედებითი დავალებები არ განსაზღვრავს მოსწავლის საქმიანობას, სასწავლო მიზანს, თემატურ ერთეულთან კავშირსა და მოსალოდნელ შედეგებს. *დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმები. ექსპერტმა წარმოდგენილი კურიკულუმი მიიჩნია რელევანტურად და 2.1.2.2. ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა* ***სრულ შესაბამისობაში.*** *დამატებით გაიცა* ***რჩევები:*** *IV კლასის კურიკულუმში სასურველია, პირველ თემაში მოცემული შემოქმედებითი დავალების პირობა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, რათა მოსწავლისთვის ნათელი იყოს, რა ტიპის სამუშაოს შესრულება მოეთხოვება. ასევე, მეორე თემაში, თუ შემოქმედებითი დავალება მოიცავს მოზაიკის ტექნიკით ნატურმორტის ან ანიმალისტური ჟანრის ნამუშევრის შექმნას, სასურველია, აღნიშნული*

	კომპონენტები აისახოს შესაბამის სამიზნე ცნებასა და ქვეცნებებში. მიზანშეწონილია, ყველა თემის ფარგლებში მიეთითოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. *V–VI კლასების კურიკულუმებში სასურველია, თემების ფარგლებში მიეთითოს მხოლოდ ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ მუშავდება შესაბამისი თემის ფარგლებში, ხოლო დარჩეს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც უშუალოდ მიემართება თემის შინაარსს, მსგავსად მეოთხე კლასის კურიკულუმის. ასევე, მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალებები, მიეთითოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, ხოლო კონტექსტ-მაგალითები წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითების და არა აქტივობების ფორმით. სასურველია, სამიზნე ცნება და ქვეცნებები სწორად იყოს წარმოდგენილი. კერძოდ, ფორმულირება „ეპოქა/კულტურა და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები შეირჩევა სწავლა-სწავლების მიზნების გათვალისწინებით“ ქვეცნებას არ წარმოადგენს.* *VI კლასის კურიკულუმში სასურველია, კურიკულუმი შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან, ხოლო სხვა გამომცემლობის სახელმძღვანელო, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს დამატებით სასწავლო რესურსად.* *VII–IX კლასების კურიკულუმებში სასურველია, კონტექსტ-მაგალითები წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითების სახით და არა კითხვების ან აქტივობების ფორმით. ასევე, მიზანშეწონილია, ყველა თემის ფარგლებში მიეთითოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც გამოყენებული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია, თითოეული თემის ფარგლებში მიეთითოს მხოლოდ ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ მუშავდება. ასევე, სასურველია, შემოქმედებითი დავალებები დაკონკრეტდეს და წარმოდგენილი იყოს ისეთი ფორმით, რომ მოსწავლისთვის ნათელი იყოს, რა ტიპის სამუშაოს შესრულება მოეთხოვება.*
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოჩენილია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები, ძირითადი ქვეცნები, სავალდებულო თუ სარეკომენდაციო თემები, ძირითადი რესურსები. გრძელვადიანი მიზნებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები. საბაზო საფეხურის VII, VIII და საშუალოს XI კლასების კურიკულუმებში საკითხის ფორმულირება დასახვეწია. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** *სასურველია, საკითხების ფორმულირებისას მასწავლებელი ორიენტირდეს საბოლოო დავალების შესასრულებლად შესასწავლი საკითხებიდან მთავარზე. ტექსტი არის რესურსი და არა*

	საკითხი. მაგალითად, ი. ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ არის რესურსი, ხოლო ზეპირი მსჯელობა ირონიის ფუნქცია-დანიშნულებაზე ი. ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია-ადამიანი?!“ საფუძველზე, შეიძლება იყოს საკითხი, რომელსაც სასწავლო პროცესის რომელიმე ეტაპზე დაამუშავებს მასწავლებელი.
მათემატიკა	წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. ისინი ორიენტირებულია მოსწავლეებში მათემატიკური და ლოგიკური აზროვნების განვითარებაზე, აბსტრაქტული და სივრცული აღქმის გაღრმავებაზე, პრობლემის გადაჭრის უნარების ხელშეწყობასა და კვლევითი, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბებაზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** *სასურველია, მათემატიკის კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს სამიზნე ცნებებზე (მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა) დაფუძნებულ შემოქმედებით დავალებებზე. რაც ხელს შეუწყობს თეორიული მათემატიკური ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში რეალიზებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების სასწავლო პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად გადატანას.*
სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, შუალედური სასწავლო მიზნები გაწერილი აქვთ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალების სახით. უნდა აღინიშნოს,

	რომ I- IV კლასებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით; ***რჩევა:*** *სასურველია ქართულ ენასა და ლიტერატურაში III კლასის კურიკულუმში, გრძელვადიანი მიზნები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით, იმ თემებისა და ტექსტების შესწავლისას სადაც შემოქმედებითი პროდუქტი არ იქმნება.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია გრიფმინიჭებული ძირითადი სასწავლო რესურსი, ასახულია დამატებითი რესურსებიც, მათ შორის ელექტრონული რესურსებიც. **რჩევა: სასურველია, დაწყებით საფეხურზე** რესურსები უფრო მრავალფეროვანი იყოს, მათ შორის მატერიალური ფორმის პოსტერები, თვალსაჩინოება, მოდელები, მანიპულატივები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის განსახორციელებლად გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა დამატებით სხვადასხვა საგანმანათლებლო ვიდეო მასალა გამოიყენება. მასწავლებლების მიერ გამოყენებული და შექმნილი საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ზრდასა და ჩართულობას. დამატებითი სასწავლო რესურსები მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის შესაბამისად. **რჩევა:** *სასურველია დამატებთი რესურსების გამრავალფეროვნება* **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ეფექტურად უწყობს ხელს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრებებით. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ციფრული, აუდიოვიზუალური და ინტერაქტიული მასალები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციას და სწავლების ხარისხს. რესურსების შერჩევა და გამოყენება შეესაბამება კურიკულუმის მიზნებს და ხელს უწყობს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზნობრივად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამატებით მითითებულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიურ და ჩართულობაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების ეფექტიან მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** *სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის თითოეულ თემაში უფრო სრულად იყოს წარმოდგენილი ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.* *ასევე, მიზანშეწონილია, მუსიკის კურიკულუმებში სამინისტროს მიერ შეთავაზებული რესურსები არა მხოლოდ ზოგადი ფორმით იყოს მითითებული, არამედ დაემატოს შესაბამისი მოსასმენი მასალის კონკრეტული ბმულები.* *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VII კლასის კურიკულუმის პირველ თემაში წარმოდგენილი ბმულები შინაარსობრივად არ შეესაბამება თემას და მიზანშეწონილია მათი გადატანა თემატურ ბლოკში „ადამიანი და ხელოვნება“.* *სასურველია ბმულების პერიოდული გადამოწმება და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ტექნიკური გამართულობა და ხელმისაწვდომობა.*
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ძირითად რესურსად მიჩნეულია გრიფირებული სახელმძღვანელო, თუმცა სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო ტექსტების გარდა, შერჩეულია თემასთან დაკავშირებული არასავალდებულო ლიტერატურა და ონლაინ სივრცეში განთავსებული სხვადასხვა ლექცია ან გაკვეთილი(მაგალითად, ტელესკოლა, სილქნეტის გაკვეთილები...). ასევე დოკუმენტური ფილმები, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება ლიტერატურული და ისტორიული პროცესის დაკავშირებასა და სათანადო დასკვნების შემუშავებაში. ამდენად, კურიკულუმში მოცემული რესურსები უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებსა და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები (გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოები, დიდაქტიკური მასალები, სივრცული და გეომეტრიული ფიგურების მოდელები, საზროვნო და ლოგიკური ამოცანების, ვიზუალური თვალსაჩინოებები და ინტერაქციული ონლაინ პლატფორმები)

	ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ, პრაქტიკულ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს მათემატიკის საგნობრივი ჯგუფითა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ელ რესურსი https://school.emis.ge/ კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები აკმაყოფილებენ მოთხოვნილ სტანდარტს და ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ როგორც ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე დამატებითი რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, ელ. რესურსები. წარმოდგენილი რესურსები კურიკულუმში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის სარწმუნო საშუალებაა. ***რჩევა:*** *სასურველია მათემატიკა მე-2 კლასი მიუთითონ ძირითადი რესურსი, კურიკულუმის თავფურცელში.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენლ დოკუმენტაციაში ჩანს კათედრების (დაწყებითი და საბუნებისმეტყველო) ხედვა, გახადონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური, წარმოდგენილია დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები. საწავლო პროცესის დროს დაგეგმილი აქტივობები (ვიქტორინები, ინტეგრირებული გაკვეთილები, არაფორმალური განათლების ფარგლებში

	დაგეგმილი აქტივობები) ადასტურებს მოსწავლეთა ინტერესების, მზაობის, მიმღებლობის მიხედვით დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია ჯანსაღი სასწავლო გარემო, რათა მოსწავლეებმა, მათი საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით, გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი პოტენციალი. ცხადია, სწავლებისა და აღზრდისადმი ამგვარი მიდგომა საჭიროებს შესაბამის ინსტრუმენტებს, მრავალმხრივ და მოქნილ განმავითარებელ გარემოს, რომელშიც საგნობრივი ცოდნის შეძენასთან ერთად მოზარდებში ხდება შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების განვითარება. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია**
უცხოური ენები	პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უცხოური ენების სწავლების პროცესში სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და დიფერენცირებული სწავლების ეფექტიანად დანერგვას. სასწავლო აქტივობები დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რაც ქმნის თანაბარი მონაწილეობისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობას ყველა მოსწავლისთვის. აღნიშნული მიდგომები განსაკუთრებით ნათლად აისახება კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების, ჯგუფური მუშაობისა და პროექტებზე დაფუძნებული სწავლების პროცესში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და წარმოადგენს სწავლა-სწავლების ორგანიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს. დოკუმენტში წარმოდგენილია მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას. დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეუძლია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შემუშავება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩართულობისა და ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერის მიზნით. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი აქტივობები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დონისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. მათ შორის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, ერთსა და იმავე დავალებაზე მუშაობისას, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ნამუშევარი შეასრულონ სხვადასხვა ფორმითა და მასალის გამოყენებით,

	რაც წარმოადგენს დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკულ გამოვლინებას და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას. ამასთან, კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები არ არის ორიენტირებული ერთგვაროვან შესრულებაზე და მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად წარმოაჩინონ მიღწეული შედეგები. აღნიშნული მიდგომა ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის და ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** *სასურველია, მუსიკის საგანში დიფერენცირებული სწავლების ამსახველ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქტივობები და შეფასების კომპონენტები უფრო მკაფიოდ იყოს დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან. ვინაიდან სიმღერის შესრულებისა და სმენის ტესტირების კომპონენტები დამოუკიდებელ სასწავლო შედეგებად არ არის განსაზღვრული მოქმედი საგნობრივი სტანდარტით, მიზანშეწონილია დიფერენცირების მაგალითები ძირითადად დაეფუძნოს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებსა და ინდიკატორებს.*
სახელმწიფო ენა	მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. რაც შეეხება დიფერენცირებული სწავლების მეთოდების გამოყენებას ტიპური განვითარების მოსწავლეებთან, მასწავლებლები საუბრობენ დავალების ინსტრუქციის გამარტივებასა და საეტაპო აქტივობების მოდიფიცირებაზე. როგორც აღნიშნავენ, შემოქმედებითი დავალების შესრულებამდე მოსწავლეებს სთავაზობენ არჩევანს. ზრუნავენ, რომ სასწავლო რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** ***რჩევა:*** *სასურველია, გარდა ინსტრუქციის გამარტივება-მოდიფიცირებისა, მასწავლებლები გაეცნონ დიფერენცირებული სწავლების სხვა მეთოდებსაც. მიზანშეწონილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სახელმწიფო ენის კათედრისთვის პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, ვებინარი და სხვა) დიფერენცირებული სწავლების მეთოდების შესახებ უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციისა და გამოცდილების მისაღებად.*
მათემატიკა	მათემატიკის გადმოგზავნილ დოკუმენტებში, სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ეფუძნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) მექანიზმს. შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ჩართულობას.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, დავალებები და მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესს, პედაგოგებმა გასაუბრებაზეც აღნიშნეს რომ სკოლა ხელს უწყობს დიფერენცირებას და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას, დაასახელეს ამის მაგალითებიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა (შეფასების სქემები და რუბრიკები) ითვალისწინებს შეფასების პრინციპებს, დავალებები დაჯგუფებულია სააზროვნო დონეების მიხედვით, რომლებიც ძირითადად ზოგადი ხასიათისაა, თუმცა მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებს. ***რჩევა : დაწყებითი საფეხური:*** *სასურველია, შეფასების ხარისხობრივი კრიტერიუმები შერჩეული იყოს ოპტიმალური კომბინაციით, მაგ: შეფასების სქემაში (მე-2 კლასი) წყვილებად წარმოდგენილი კრიტერიუმები (სხარტად და ზუსტად, დუნედ და ხარვეზებით, შეფერხებით და შეცდომებით), ასახავს ორ განსხვავებულ კოგნიტურ პროცესს - ტემპს და ხარისხს, თუ გავითვალისწინებთ, რომ*

	სწავლების ტემპი და განვითარების დინამიკა დაწყებით საფეხურზე (მით უფრო სწავლების მეორე წელს) ინდივიდუალურია, მაშინ სჯობს, მოვხსნათ დროის/ტემპის ფაქტორი, მივცეთ მას ბუნებრივი განვითარების საშუალება, ხარისხობრივი კი დავტოვოთ, შეგვიძლია, მაგალითად, ჩავრთოთ კრიტერიუმი - მასწავლებლის დახმარება, ან დამოუკიდებლობის ხარისხი. მაგ: ძირითადად მასწავლებლის დახმარებით , მასწავლებლის ეპიზოდური დახმარებით, დამოუკიდებლად შესრულება ან სხვა. განმავითარებელი შფასების დროს (მაგ მე-6 კლასი) მასწავლებლის კომენტარი სასურველია, აიგოს დაზუსტება/წახალისება/რჩევის პრინციპებით და იყოს კონკრეტული თემასთან და საკითხთან კავშირში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესისს შესახებ. სამივე საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი შეფასება, ასევე განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება ხორციელდება ათბალიანი სისტემით. შეფასების სქემებში წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი იყო ზოგადი შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** *სასურველია, შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ასახავდეს იმ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს, რომელთა მიღწევაც იგეგმება. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს მოსწავლის მიერ შუალედური მიზნების მიღწევის ხარისხსა და უზრუნველყოფდეს მისი პროგრესის ობიექტურ შეფასებას.* **ინგიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლას შემუშავებული აქვს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** *სასურველია, თითოეულ საფეხურზე, ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო დეტალურად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მკაფიოდ აღწერს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარების დონეებს.*
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის შეფასების სისტემა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლაში

	გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მიღწევების განსაზღვრას, მისი განვითარების დინამიკის გამოვლენასა და მხარდაჭერას. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე. შეფასების მიდგომები ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე და ხელს უწყობს მის აქტიურ ჩართულობასა და რეფლექსიის უნარების განვითარებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** ***რჩევა:*** *საშუალო საფეხურზე მუსიკის საგანში პროექტული სწავლებისას გამოყენებული შეფასების მიდგომების ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად, სასურველია, შეფასების რუბრიკა ქულობრივი შეფასების ნაცვლად ჩამოყალიბდეს განმავითარებელი შეფასების პრინციპების შესაბამისად.*
სახელმწიფო ენა	კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის რამდენიმე ნიმუში. მაგალითად, მე-6 კლასის შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმებშიც იკითხება სტანდარტის რომელ შედეგებს აკმაყოფილებს მოსწავლე, მაგრამ არ წერია კონკრეტული სამიზნე ცნებები. ატვირთულია ინსტრუმენტ სოლოტაქსონომიით შეფასებული შემოქმედებითი დავალებებიც. ნამუშევრებისა და აღწერა-კომენტარების შედარების საფუძველზე შეიძლება დაისკვნას, რომ მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა ძლიერ და განსავითარებელ მხარეებს და გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** *სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს შეფასების რუბრიკის საერთო ფორმა, დიზაინი. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის გასაგები ენით. ვურჩევთ სკოლას, უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, ვებინარი, სამუშაო შეხვედრა...), რომელიც დაეხმარება კათედრას უფრო მეტად მოარგოს შეფასების სისტემა და რუბრიკები განახლებულ საგნობრივ სტანდარტს.*
მათემატიკა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა არის მიზანთან შესაბამისად გაწერილი, თუმცა აკლია მეტი კონკრეტიკა და სიცხადე, არ არის დაზუსტებული კონკრეტულად რას მოითხოვს მასწავლებელი მოსწავლისგან თემის ფარგლებში, თუმცა ზოგადი მონახაზი იძლევა იმის საშუალებას რომ მასწავლებლები გადაამუშავებენ არსებულ რედაქციას და უფრო მოქნილს გახდიან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; პედაგოგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზანს, არის კონკრეტულ დავალებაზე მორგებული ვერსიებიც. გასაუბრებაზე გაგვაცნეს რომ რუბრიკებზე დაყრდნობით კონკრეტულად დავალებებს აფასებენ. ასევე საგაკვეთილო პროცესში იყენებენ აქტივობათა შეფასების ვერბალურ ხერხს, ასევე მოსწავლეთა ურთიერთშეფასებას და თვითშეფასების მოდელს (მაგ. გასასვლელი ბარათები, 3.2.1. მეთოდი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *1-4 კლასის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*

უცხოური ენები:

- *დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები(ინგლისური,რუსული)*
- *სასკოლო-სასწავლო გეგმა*
- *სასკოლო-სასწავლო გემის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმის წესი*
- *გიმნაზიის კურიკულუმის მეთოდოლოგია*
- *კათედრის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი დამხმარე რესურსების ვალიდაციის შესახებ*
- *კითხვარები(მასწავლებლებისთვის,,მოსწავლეებისთვის,მშობლებისთვის)*
- *პედსაბჭოს ოქმები*
- *კომპლექსური დავალებებები(ინგლისური ენა,რუსული ენა)შუალედური სასწავლო მიზანი*
- *განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები*
- *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის სამოქმედო გეგმა*
- *უცხოური ენების კათედრის თავმჯდომარის ანგარიში*
- *შემოქმედებითი ბარათები*
- *სასწავლო პროექტების დოკუმენტაცია*
- *ურთიერთდასწრების ფორმები*
    - *საგნობრივი პროგრამები*
    - *მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი*

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- *2025-26 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*
- *კურიკულუმში გაწერილი შესრულებული დავალების ნიმუშები*
- *დამატებითი სავალდებულო საგნების კურიკულუმები*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- *კურიკულუმის ჩარჩოები სამივე საფეხურზე (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია)*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-26*
- *შეფასების სქემები*
- *კათედრის სხდომები, ღონისძიებათა ჩამონათვალი*
- *ინტერგრირებული გაკვეთილის გეგმა/რეფლექსია*
- *მოსწავლეთა შესრულებული დავალებების ნიმუშები*
- *დიფერენციირებული დავალებების ნიმუშები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე და შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმთან მოცემული თემების, სასწავლო მიზნების, რესურსების და შუალედური მიზნების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა ეფუძნება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

	აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) სწავლების პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან.ყველა საფეხურზე განსაზღვრულია მკაფიო მიზნები, თემები და აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ენობრივი და კომუნიკაციური უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. **.ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე და განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით. **.ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	მოცემულ ეტაპზე კათედრას აქვს საფუძვლიანი გეგმა იმისა, თუ როგორ წარმოუდგენია სასწავლო პროცესის წარმართვა. დავალებების გარკვეული ნაწილი ეფუძნება წინარე გამოცდილებას, მაგრამ უმეტესობა ახალია. შესაბამისად, კათედრა აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, კურიკულუმში გარკვეული ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	მათემატიკის დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი შეესაბამება ესგ-სა და სასკოლო კურიკულუმს. დაგეგმვის მოდელი მასწავლებელს აძლევს საშუალებას, თითოეული მოსწავლე ჩართოს შემოქმედებით პროცესში, რაც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებას თუმცა გამოსაკვეთია კათედრის აქტიური ჩართულობის ნაკლებობა, რაც ძირითადში მასწავლებლის პირად მოსაზრებას ეყრდნობა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**. **რჩევა:** *ხარისხის ასამაღლებლად, სასურველია მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებები კათედრის ფარგლებში, მჭიდრო თანამშრომლობით მიიღებოდეს.*
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას

	იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წარმოადგინეს და ისაუბრეს არაერთ პროდუქტზე, რაც მტკიცებულების სახით აქვთ შემონახული(შესრულებული დავალებების ფოტომასალა). ამით დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი SWOT ანალიზი აჩვენებს, რომ გააზრებული აქვთ სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და დანახული აქვთ როგორც შესაძლებლობები, ისე საფრთხეები. სკოლას შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გაწერილი აქვს სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმები. წარმოდგენილია ამ მექანიზმების ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებები. საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას. საჭიროების შემთხვევაში, ხდება დაგეგმილი აქტივობების მოდიფიცირება ან ჩანაცვლება, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა ეყრდნობა შეფასების ძირითად პრინციპებს, კათედრაზე გააზრებული აქთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების დანიშნულება,

	ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის და ობიექტურობის პირობები. მასწავლებლები ორიენტირებულიები არიან მოსწავლის მხარდაჭერაზე, მიმართავენ დახმარებას როგორც გაკვეთილზე, ასევე გაკვეთილების შემდეგაც. აქტივობების ამსახველ მასალას თან ახლავს რეფლექსიაც.განხორციელებულია შემაჯამებელი სამუშაოების შეფასებათა ვერიფიკაცია საბაზო-საშუალო საფეხურზე. ***რჩევა: სამივე საფეხური:*** *სასურველია, მოსწავლეთა ურთიერთშეფასების/თვითშეფასების წახალისება და დანერგვა, რაც ავთენტურ შეფასებასთან მიგვიყვანს. კათედრამ შესძლოა, შექმნას ასეთი კითხვარის სხვადასხვა ნიმუში.* ***საბაზო/საშუალო საფეხური:*** *სასურველია, ვერიფიკაციის შაბლონი (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია) უფრო ინფორმაციული იყოს, სტანდარტული ფრაზების გარდა, სჯობს, დაამატოთ წინასწარ შერჩეული კრიტერიუმებიც , რაც შეფასებას შესძენს მეტ დეტალიზაციას, ასახავს საგანსპეციფიურ მიდგომებს.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეფასების სისტემა ხორციელდება ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. შეფასების პროცესში დაცულია სამართლიანობის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის განსაზღვრასა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. **ინგიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოური ენების სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრას წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** *სასურველია, კათედრა უფრო აქტიურად ჩაერთოს შეფასების ვერიფიკაციის პროცესში და ეს პროცესი გახდეს სისტემატური და რეგულარული.*
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია გრძელვადიან

	საგანმანათლებლო მიზნებზე. კრიტერიუმები და შეფასების დონეები ძირითადად ჩამოყალიბებულია მკაფიო და მოსწავლეებისთვის გასაგები ენით, თუმცა რიგ შემთხვევაში საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, რათა შეფასების მოთხოვნები უფრო ნათელი და ხელმისაწვდომი გახდეს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** *სასურველია, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ერთვოდეს შესაბამისი აღწერა (მაგ., რა შემთხვევაში ენიჭება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს.* *სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს და მიეთითოს მიღებული შედეგების 10-ქულიან შეფასების სისტემაში გადაყვანის წესი, რათა შეფასების პროცესი იყოს გამჭვირვალე და მკაფიო როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.* *ასევე სასურველია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლო კრიტერიუმები ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად იყოს განსაზღვრული. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უკეთ გაგებას როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან და გააძლიერებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას.*
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად რეკომენდაციებს. მოსწავლეებსა და მშობლებს აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რის მიხედვით ფასდება შესრულებული დავალებები. ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია, ყველა საგნობრივი კათედრა ხელმძღვანელობდეს შეფასების ერთი და იმავე პრინციპებით. შეფასების პროცესის ვალიდურობისა და სამართლიანობის განსამტკიცებლად (და დასარწმუნებლად, რომ პროცესი ნამდვილად ძირითადი პრინციპების დაცვით მიმდინარეობს) კათედრა პერიოდულად ატარებს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	მათემატიკის შეფასების სისტემა, შეფასების რუბრიკები ვალიდურია და შეესაბამება დასახულ მიზნებს. ინტეგრირებული ინდიკატორები პირდაპირ კავშირშია თემატიკასთან, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის

	გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; პედაგოგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები რომელიც კონკრეტულ საკითხს და დავალებას მიემართება. გასაუბრებისას აღწერეს თუ როგორ ახალისებენ მოსწავლეს სხვადასხვა წამახალისებლებით, აწვდიან მათ კონკრეტულ, აქტივობებზე მორგებულ უკუკავშირს. კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 წლის 25 აგვისტოს გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის წესი და 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული ვერიფიკაციის შესაბამისი დასკვნები. ვერიფიკაცია ხორციელდებოდა კათედრების მიერ მათი სურვილის და შესაძლებლობების შესაბამისად, არასისტემურად. ექსპერტების მიერ ვიზიტის დღის ბოლოს ეცნობა სასკოლო საზოგადოებას ამ მიგნების შესახებ. შედეგად, ვიზიტის დღეს, გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ვერიფიკაციის ჯგუფი, ყველა მოქმედი კათედრის წევრების შემადგენლობით. აღნიშნული ჯგუფი მოქმედებას გააგრძელებს დაწესებულების ვერიფიკაციის წესის შესაბამისად. დირექციის განმარტებით, მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდება სასკოლო გამოცდების ინსტრუმენტის, პროცესის და შეფასების სისტემური ვერიფიკაცია.

ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

დაწესებულებას აქვს ფუნქციური ელექტრონული ჟურნალი, რომელიც 3 და მეტი წლით ინახავს შეფასებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს. დაწესებულებამ, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, წარმოადგინა შემაჯამებელი დავალებების და შემოქმედებითი პროდუქტების შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების ამსახველი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი ბრძ.16. 25/08/2023;*
- *ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება .10. 11/06/2026;*
- *შეფასების ვერიფიკაციის ამსახველი მასალა;*

უცხოური ენები:

- *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები(ინგლისური,რუსული)*
- *კომპლექსური დავალებებები(ინგლისური ენა,რუსული ენა)შუალედური სასწავლო მიზანი*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები*
- *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის სამოქმედო გეგმა*
- *ვერიფიკაციის წესი*
- *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
- *უცხოური ენების კათედრის თავმჯდომარის ანგარიში*
- *შემოქმედებითი ბარათები*
- *ურთიერთდასწრების ფორმები*

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- *კომპლექსური დავალებები*
- *დიაგნოსტიკის ანალიზის ფორმები*
- *შეფასების ზოგადი რუბრიკები*
- *ვერიფიკაციის წესი*
- *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება*

საბუნებისმეტყველო

- *კათედრის სხდომების ოქმები,*

- *სადამრიგებლო კლასის ოქმები*
- *დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები*
- *ვერიფიკაცის დამადასტურებელი მასალა*
- *გაკვეთილზე დასწრების ჩანაწერები*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახულია ძირითადი და დამატებითი რესურსები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. მოცემული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. ***რჩევა:*** *სასურველია, სკოლაში არსებული მატერიალური ბაზა (მაგ. ლაბორატორიული რესურსები) აისახოს კურიკულუმებში, შეიქმნას და გამდიდრდეს ციფრული რესურსების ბაზა.* **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	თითოეულ საგანში, სამივე საფეხურზე, შექმნილი კურიკულუმები ორიენტირებულია ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე, რომელთა მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის ძირითადი და დამხმარე რესურსები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და შესაძლებლობებს. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია**
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების მიზნების ეფექტიან განხორციელებას სასწავლო პროცესში ძირითად რესურსად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე რესურსების სახით:დიგიტალური, ინტერაქტიული და აუდიოვიზუალური მასალები, რომლებიც ამდიდრებს გაკვეთილის შინაარსს და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და საგნობრივი თავისებურებები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მრავალფეროვანი დამატებითი მასალები - თვალსაჩინოებები, ინტერნეტრესურსები და სხვა დამხმარე რესურსები, რაც ზრდის სასწავლო პროცესის დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ძირითად რესურსად მიჩნეულია გრიფირებული სახელმძღვანელო, მას ეფუძნება შემოქმედებითი დავალებები თუ სხვადასხვა აქტივობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება ყველა ის არასავალდებულო ტექსტი თუ ონლაინ სივრცეში განთავსებული ლექცია ან გაკვეთილი(მაგალითად, ტელესკოლა, სილქნეტის გაკვეთილები...), რომელიც კურიკულუმშია მონიშნული. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ როგორც ძირითად (გრიფირებულ სახელმძღვანელოებს), ისე დამხმარე რესურსებს. აღნიშნული მასალები ეხმარება მოსწავლეებს, უკეთ გაითავისონ თემები და წარმატებით მიაღწიონ საფეხურებრივ მიზნებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიების სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები სრულად მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია

	სახელმძღვანელოები, გვხვდება ციფრული რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. გარკვეულ საგნებში დამხმარე რესურსები ზოგადია, ბუნდოვანი. გაიცა შესაბამისი რჩევა დაკონკრეტდეს რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო რესურსების ვალიდაციის აუცილებლობას. კათედრა ურთიერთთანამშრომლობს, იყენებს ინტეგრირების პროცესს და შეუძლია დამხმარე რესურსების შერჩევა და ვალიდაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება სასწავლო მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი ხარისხისა და სასწავლო პროცესთან შესაბამისობის დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე**
უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობასა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვას.უცხოური ენების კათედრაზე აღნიშნული პროცესი განხორციელდა კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობით. რესურსები შერჩეულია თითოეული ენის ინგლისურისა და რუსულის სასწავლო საჭიროებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ ხარისხს, მიზნობრიობასა და მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებზე მორგებას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსი, რომლებიც შერჩეულია სასწავლო პროცესის საჭიროებების, მოსწავლეთა ასაკის და თემის გათვალისწინებით. კათედრის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ რესურსებს და იღებენ გადაწყვეტილებას მათი გამოყენების შესახებ, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ შერჩევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსი შერჩეულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან მხარდაჭერილი საგანმანთლებლო პორტალებიდან და სხვადასხვა აკადემიური გამოცემიდან. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ დამხმარე რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების დონეზე. ეს პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მასალების სრულ შესაბამისობას დაწყებითი საფეხურის ესგ-ის მიზნებთან და ბავშვთა ასაკობრივ პრიორიტეტებთან. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	გადმოგზავნილ მასალებში ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს მატერიალური რესურსით უზრუნველყოფას, სკოლაში გამოყოფილია და ფუნქციონირებს ორი ლაბორატორია - ფიზიკის და ქიმიის, ბიოლოგიის მოდელები ქიმიის ლაბორატორიაშია განთავსებული. ლაბორატორიები აღჭურვილია ინვენტარით, ხელსაწყოებით, აქვთ სველი წერტილი, ვენტილაცია, სადემონსტრაციო მაგიდის ზედაპირი მედეგია, მატერიალური რესურსი განთავსებულია კარადებში, ქიმიური ჭურჭელი და რეაქტივები განთავსებულია ცალკე, ეტიკეტირებულია, ჯგუფური მუშაობისათვის საკმარისია ეკიპირება. სკოლას წარმოდგენილი აქვს ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია (2012 წელი) დანართებით, სადც აღწერილია აღჭურვილობის დეტალური ჩამონათვალი, ფოტომასალა ადასტურებს ლაბორატორიული რესურსების (მათ შორის აინშტაინის ლაბორატოტრიის და ძველი რესურსების) არსებობას.

	რჩევა : საბაზო/საშუალო საფეხური: ლაბორატორიებში გამოაკარით თვალსაჩინო ადგილას მსხვილი შრიფტით ლაბორატორიით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები. მიანიშნეთ, ხანძრის შემთხვევაში სად არის ცეცხლმაქრი, ცეცხლგამძლე ნაჭერი ან ქვიშის ყუთი. ყოველი წლის ბოლოს ჩაატარეთ ინვენტარიზაცია, ლაბორატორიებში განთავსებულ თითოეულ კარადაზე მიაკარით რესურსების ჩამონათვალი, ქიმიური რეაქტივები შესაბამისი წესის დაცვით გადაიტანეთ კარადის დახურულ ნაწილში, რომელიც იკეტება და მოსწავლეს არ ექნება წვდომა. ბუნებრივი ვენტილაცია საკმარისი არ არის, გამართეთ ხელოვნური ვენტილაცია - გამწოვი კარადა, შემოწმეთ ვენტილაცია პერიოდულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის სკოლაში არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსი, სასწავლო პროცესისთვის განსაზღვრულ საკლასო ოთახები, კომპიუტერები და ა,შ., რაც კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. მოსწავლეთა ადგილები ზღვრული რაოდენობის შესაბამისია. **იდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობასა და სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს. სწავლა-სწავლების პროცესი მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, მათ შორის არაფორმალური განათლების ელემენტებს, როგორიცაა პროექტული სწავლება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი უნარების, კომუნიკაციური კომპეტენციებისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლებს ხელმისაწვდომობა აქვთ შესაბამის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, აუდიოტექნიკა, პროექტორი და სხვა დამხმარე რესურსი), ასევე მუსიკალურ საკრავებზე, რაც ხელს უწყობს როგორც პრაქტიკული მუსიკალური საქმიანობის განხორციელებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტიანად წარმართვას.

	სკოლაში არსებული სივრცითი და მატერიალური რესურსები ქმნის სათანადო გარემოს სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლიდან მოწოდებული ფოტო-ვიდეო მასალით დასტურდება, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკულა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსით სასწავლო პროცესს, როგორიც არის კომპიუტერული ტექნოლოგიები თუ სხვა ასევე სასწავლო პლაკატებით, გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მასწავლებლები თავადაც ქმნიან აღნიშნულს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლა აღჭურვილია ყველა ასჭირო ელ რესურსით, კომპიუტერებით ელ საშუალებებით; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე ხსენებული დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

დაწესებულებაში დასაქმებულია 25 მასწავლებელი. აქედან, 2 წამყვანი მასწავლებელია, 3 მასწავლებელთან- 9 და 8 საათიანი დატვირთვით, გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება. სპორტის (სამივე საფეხურზე), საბაზო საფეხურზე 1 მათემატიკის მასწავლებლის, დაწყებითი (I-IV) კლასების 1 მასწავლებლის და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ხარვეზი: დაწესებულების 4 მასწავლებელს, რომლებთანაც გაფორმებულია უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება არ უდასტურდება მასწავლებლის კვალიფიკაცია. შესაბამისად, საგნებისთვის: დაწყებით საფეხურზე (I-IV) კლასების-1, კომპიუტერული

ტექნოლოგიების-1, სახელმწიფო ენის-1; საბაზო საფეხურზე - მოქალაქეობა-1, მათემატიკის-1; სამივე საფეხურზე-სპორტის სწავლებისთვის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია გეოგრაფიული მდებარეობისა და მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით (კვალიფიციური კადრების დეფიციტი) მუდმივად ახორციელებს პედაგოგიური კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესს. გიმნაზია წელიწადში ორჯერ, ახალი სასწავლო წლის დასაწყისსა და იანვარში, აცხადებს ვაკანსიას სერტიფიცირებული კადრების შერჩევის მიზნით. პარალელურად, გიმნაზიაში დასაქმებული ის მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, დარეგისტრირდნენ და გამოცხადდნენ 2026 წლის მასწავლებელთა საგამოცდო სესიაზე. გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საგამოცდო შედეგების მონიტორინგს, საგნების შესაბამისი კვალიფიკაციის მოზიდვის მიზნით ვაკანსიის გამოცხადებას და კონკურსის წესით ახალი კადრების მიღებას გეგმავს ერთ წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და **2.2.2.4.** ინდიკატორი გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, საგნებისთვის: **დაწყებით საფეხურზე** (I-IV) კლასების-1, სახელმწიფო ენა-1, კომპიუტერული ტექნოლოგიების, **საბაზო საფეხურზე** - მოქალაქეობა და მათემატიკის, ხოლო **სამივე საფეხურზე სპორტ**ის სწავლებისთვის კვალიფიციური კადრების დასაქმება უზრუნველყოს არაუგვიანეს 2026 წლის 4 სექტემბრისა.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მასწავლებელთა პირადი საქმეები;*
- *საათების განაწილების გრძანება 2025-2026;*
- *სკოლის მატერიალური რესურსი;*

უცხოური ენები:

- *დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები(ინგლისური,რუსული);*
- *კათედრის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი დამხმარე რესუსრების ვალიდაციის შესახებ;*
- *კომპლექსური ტიპის დავალებებები(ინგლისური ენა,რუსული ენა) შუალედური სასწავლო მიზანი;*
- *დირექტორის მოადგილის ანგარიში;*
- *გიმნაზიის SWOT ანალიზი;*
- *უცხოური ენების კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;*
- *შემოქმედებითი ბარათები;*

- *სასწავლო პროექტების დოკუმენტაცია;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზები;*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- *კათერდაზე განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი;*
- *კათერდის ოქმები;*
- *საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები;*
- *ვერიფიკაციის ამსახველი მასალა ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკაში;*
- *საბ ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენის დოკუმენტები;*
- *გიმნაზიის დამხმარე პროცესების ქლიური გეგმა (პუნქტი 6. მატერიალური რესურსების მართვის წლიური გეგმა);*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

საგნობრივი კურიკულუმების შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება გიმნაზიის "კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად. მონიტორინგის ეტაპზე სკოლა იყენებს გაკვეთილზე დაკვირვების, ჩართულ მხარეთა გამოკითხვისა და მონაცემთა შეგროვების და ანალიზის მეთოდებს. წარმოდგენილ ანგარიშებსა და კათედრების სხდომის ოქმებში ჩანს, რომ პედაგოგები კათედრის სხდომების ფარგლებში უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობენ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ერთად გეგმავენ მომავალი სასწავლო წლისთვის შესატან საჭირო ცვლილებებს. გიმნაზიის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი პასუხისმგებელია და ამოწმებს საგნობრივ კურიკულუმებსა და მათ განხორციელებას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მონიტორინგის და შეფასების შედეგად დგება ანგარიშები, მუშავდება რეკომენდაციები. შედეგად, სასკოლო კურიკულუმში შესატან ცვლილებებს ამზადებს დირექტორი. სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სისტემურ შეფასებას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზებს.

ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

გიმნაზიის დირექტორის მოადგილის 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიშიდან იკვეთება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას. ანგარიშში მოცემულია მონიტორინგის შედეგები და რჩევები მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით.

ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *2024-2025 გიმნაზიის დირექტორის მოადგილის ანგარიში;*
- *კათედრების სხდომების ოქმები;*
- *გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგები.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

შეფასების კომპლექსურობა და მრავალფეროვნება გიმნაზიას საშუალებას აძლევს დაინახოს ერთიანი სურათი. ამ მიზნით გიმნაზია ახორციელებს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვას. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი წლის განმავლობაში ესწრება გაკვეთილებს და აძლევს უკუკავშირს მასწავლებლებს. დირექტორის მოადგილე პერიოდულად აფასებს დაგეგმილი პროცესების მიმდინარეობას. ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომლის შედეგები, ასევე, გამოიყენება სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვია.

ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

გიმნაზიის "კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად, შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მარეგულირებელი დოკუმენტები, არამედ ადგილობრივი თემის საჭიროებები და ინტერესები, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების დამოკიდებულებები და განწყობები. გარდა ამისა, წარმოდგენილ, გიმნაზიის დირექტორის მოადგილის 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიშში ვხვდებითი ისეთი გარემოებების გათვალისწინებას, როგორიცაა სასწავლო რესურსებისა და სასწავლო გარემოს შეფასება.

ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისას სკოლა იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევის მეთოდებს. როგორიცაა, დოკუმენტაციის ანალიზი, ანკეტირება, დაკვირვება და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

გიმნაზიის "კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია" ითვალისწინებს შეფასებას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. დამრიგებლის პორტფოლიოში მოცემულია მოსწავლის პროფილი, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინების მიზნით. ასვე, შესწავლილი და იდენტიფიცირებულია ზემოქმედების მომხდენი ფაქტორები

ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *2024-2025 გიმნაზიის დირექტორის მოადგილის ანგარიში;*
- *კათედრების სხდომების ოქმები;*
- *დამრიგებლის პორტფოლიოები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მონიტორინგის და შეფასების შედეგად დგება ანგარიშები, რომლებშიც მოცემულია კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. ყოველივე ეს გროვდება დირექტორის მოადგილესთან. სასკოლო კურიკულუმში შესატან ცვლილებებს ამზადებს დირექტორი.

ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. გადამუშავებული 2026-2027 სასწავლო წლის კურიკულუმი ეფუძნება და ითვალისწინებს 2024-2025 წლის კურიკულუმის შეფასების შედეგებს, გათვალისწინებული წინარე გამოცდილება და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *2024-2025 გიმნაზიის დირექტორის მოადგილის ანგარიში;*
- *კათედრების სხდომების ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი : 27/07/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნინო ელბაქიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო გულმაგარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნათია კილაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლედი კუთხაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ნანა ნოზაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ილონა აკობია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი